ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 4 აპრილი, 2017 №79 (7314) ფასი: 50 თეთრი

„კრემლის ძირგამომთხრელი მუშაობის სამიზნე საქართველოც გახდა“

უესლი კლარკი: „პუტინი ევროკავშირის დაშლას არჩევნებში ჩარევით ცდილობს“

31 მარტიდან

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი

კვირიკაშვილი და მარგველაშვილი შეიძლება გაერთიანდნენ

„პრეზიდენტის სასახლე პარტიულ ოფისად გადაიქცა“

გიგლა ბარამიძე: „მისტერ ვეტო ოსტატურად მუშაობს საკუთარ რეიტინგზე“

ელისო კილაძე: „გელა ხვედელიძე ჩემთან მეგობრობის გამო დაისაჯა“

გელა ხვედელიძის მეუღლე: „ვცადე, თავდამსხმელისთვის ნიღაბი ჩამომეგლიჯა“

რამაზ საყვარელიძე: „კალაძეს მერის არჩევნებში სერიოზული შანსი აქვს“

„ელისაშვილის მიმზიდველობა მისი უპარტიობა იქნება“

კახა კუკავა: „სითი პარკის წილში არის ბიძინა ივანიშვილი“

C.T.PARK

„ერთი თვით დამნიშნონ პროკურორად და მე გამოვიძიებ ამ საქმეს“

რას ითხოვს კალაძე თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობის სანაცვლოდ

ISSN 1987-9385

საქართველოს აეროპორტებში მგზავრთა რაოდენობას დიდად არ მოუმატია

რამაზ საყვარელიძე: „კალაძეს მერის არჩევნებში სერიოზული შანსი აქვს“

„ელისაშვილის მიმზიდველობა მისი უპარტიობა იქნება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თბილისის მერის არჩევნებზე და სავარაუდო კანდიდატების შანსებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, ვის რა შანსები აქვს ადგილობრივ არჩევნებზე? სახელისუფლო გუნდში ჯერ ჩამოყალიბებულნი არ არიან, ვინ იქნება თბილისის მერობის კანდიდატი. საუბარია კალაძეზე, ქუმსიშვილზე, ნარმანიაზე. ვის რა შანსები აქვს?

– ადგილობრივ არჩევნებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგან ის არის ერთგვარი რეპეტიცია საპარლამენტო და ხშირად საპრეზიდენტო არჩევნების წინ.

თბილისის მერობისთვის ბრძოლა ყოველთვის იყო აზარტული და საინტერესო. არც ეს არჩევნები იქნება გამონაკლისი. თუკი „ქართული ოცნება“ კახა კალაძეს შემოიყვანს ამ ორთაბრძოლაში, მაშინ ეს იქნება ერთგვარი ინტრიგა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ კალაძისთვის დედაქალაქი ერთგვარი ასპარეზი იქნება შემდეგი პოლიტიკური კარიერისთვის. ამ ასპარეზზე ის უდავოდ გამოიჩენს თავს. ამ თვალსაზრისით ვთქვი, რომ ერთგვარი ინტრიგაა ამ ყველაფერში. ეს ვარიანტი ძალიან საინტერესოდ გამოიყურება.

– და რა შანსები აქვს?

– საკმაოდ სერიოზული შანსები აქვს.

– „გაზპრომთან“ დადებული ხელშეკრულება არ იქნება ერთგვარი შლეიფი?

– არ იქნება და აგიხსნით, რატომ. ამ მოლაპარაკებიდან კალაძე ასე თუ ისე გამოვიდა. საზოგადოებას აუხსნა, რომ არსებული ხელშეკრულების შენარჩუნება შეძლო იქამდე, სანამდეც ეს შესაძლებელი იყო, მან დრო მაქსიმალურად გაწელა. ვადა იწურებოდა და საქართველოს დათმობაზე წასვლა მოუწია. ასევე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ ამ საკითხზე საჯარო

დისკუსია გამართა და ხალხს აუხსნა, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა იმ ეტაპისთვის.

ასევე მნიშვნელოვანია, ვინ დგას კანდიდატის ზურგს უკან. „ქართული ოცნება“, როგორც მხარდამჭერი, ნებისმიერი კანდიდატისთვის ძლიერი ფაქტორია. მეორე, კალაძე არის პიროვნება, რომლის გაცნობაც საზოგადოებას არ სჭირდება. ისევე, როგორც არ სჭირდებოდა მანამდეც, სანამ პარტიულ, პოლიტიკურ ცხოვრებას დაიწყებდა. შესაბამისად, კალაძე არ აღიქმება საზოგადოების მიერ პირად, რომელიც პარტიამ დააყენა ფეხზე. კალაძეს აქვს ბეგრაუნდი, თავისი ბიოგრაფია, რომლის შექმნაც პარტიაში არ დაუწყია. ეს ფაქტორები კალაძეს პლუსად ეწერება.

– თუ კვლავ ნარმანიაზე შეჩერდა სახელისუფლო გუნდის არჩევანი, მაშინ?

– ეს ნაკლებად სავარაუდო მგონია. როგორც ჩანს, ნარმანიამ მაინც ბევრი რამე გააკეთა. თუმცა, ბევრ რამესაც საყვედურობენ, თუნდაც, უსაშველო მშენებლობებს, რომელთა კალაპოტში მოქცევა ვერ შეძლო ნარმანიამ. ასევე, ყოველდღიური პრობლემა, რომელიც ადამიანებს მართლაც ყოველდღე აწუხებთ, ვგულისხმობ სატრანსპორტო პრობლემატიკას, პარკირების პრობლემებს და ა.შ. ამ პრობლემების მოუგვარებლობამ, ნარმანიას კანდიდატურას შეიძლება სირთულეები შეუქმნას.

– დიმიტრი ქუმსიშვილზეც არის საუბარი. მას რა შანსები აქვს?

– ვერ გეტყვით, რამდენად გაუძლებს ქუმსიშვილის ფიგურა იმ შეტევებს, რომლებიც იქნება იმ შემთხვევაში, თუკი მისი კანდიდატურა იქნა დაყენებული მერის პოზიციაზე.

– რას გულისხმობთ?

– ბღუჯა ბღუჯა ფულის ამოღების ისტორიას, რომელიც პარლამენტში მოჰყვა და რომელიც შემდეგ შარჟის მიზეზიც გახდა. პოლიტიკოსისთვის მსგავსი ნიუანსები არ არის მომგებიანი.

– თბილისის მერობა სურს ალეკო ელისაშვილს. როგორც დამოუკიდებელ კანდიდატს, მას რა შანსები აქვს?

– ალეკო ელისაშვილის მთელი ხიბლი, მის დაუდგრომელ ხასიათთან ერთად, მისი დამოუკიდებლობაა. ალეკო ელისაშვილს დამოუკიდებლად პოლიტიკური კარიერის წარმართვის გამოცდილება აქვს. მან დამოუკიდებლად იყარა ადგილობრივ დონეზე კენჭი და გაიმარჯვა კიდეც. გარკვეული თვალსაზრისით პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ვგულისხმობ იმას, რომ ელისაშვილი არ წარმოადგენს არც ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას, ამომრჩევლისთვის ძალიან საინტერესოა.

დღეს საქართველოში პარტიები პოპულარულები არ არიან, მეტიც, არც კი მოსწონთ. დღეს პოლიტიკაში ინდივიდების დროა. საქარ-

თველოში პარტიებმა ამომრჩეველს იმედები გაუცრუა. ამიტომ ელისაშვილის ტაქტიკა ამართლებს ამ დროისთვის. ელისაშვილს მიმზიდველობას სწორედ უპარტიობა მოუტანს.

– ნაციონალებს და ევროპულ საქართველოს რა შანსები აქვთ?

– ოპოზიციურ ფლანგზე მაინც ყველაზე მეტი შანსი ამ სურათით, ამ დროისთვის ალეკო ელისაშვილს აქვს. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებმა კიდევ ერთი რამ გამოკვეთა: ძალიან კარგი ინდივიდები იყრიდნენ მაჟორიტარულ ოლქებში კენჭს, მაგრამ მათ ვერ გაიმარჯვეს. ხალხმა ხმა არ მისცა მათ სწორედ პარტიული კუთვნილებიდან გამომდინარე. მაგალითად, ვაკეში ელენე ხოშტარია ძალიან მომხიბლავი კანდიდატი იყო, მაგრამ ამომრჩეველმა მას ხმა არ მისცა, რადგან ის ნაციონალურ მოძრაობას წარმოადგენდა. ამიტომ ნაციონალების და ყოფილი ნაციონალების კანდიდატებიც ამ დამოკიდებულების ქვეშ იქნებიან.

რას ითხოვს კალაძე თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობის სანაცვლოდ

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულ ოცნებაში“ თითქმის ოფიციალურად ადასტურებენ, რომ მათი მერობის კანდიდატი ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე იქნება. ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მას მერის არჩევნებში მონაწილეობა არ სურს და პირველ ვიცეპრემიერობას ამჯობინებს.

როგორც „ახალ თაობას“ „ქართულ ოცნებაში“ უთხრეს, სწორედ ამიტომ არ კეთდება ოფიციალური განცხადება თბილისის მერობის კანდიდატთან დაკავშირებით. ჩვენთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ კალაძე მერის არჩევნებში მონაწილეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ დამატებით გარანტიებს მიიღებს.

ბოლო დროს ის რამდენჯერმე ნახეს თბილისის საკრებულოში. მართალია, იქ მისი ძველი კოლეგა მურთაზ შელია იმყოფება, მაგრამ საეჭვოა, ქართული ენერგეტიკის მამა იქ ფეხბურთზე სასაუბროდ მიდიოდეს.

ინფორმაციას დედაქალაქის საკრებულოში ვიცეპრემიერის ვოიაჟების შესახებ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილიც ადასტურებს. აღსანიშნავია, რომ ის იყო პირველი, ვინც მერის პოსტზე კალაძის შესაძლო წარდგენაზე ისაუბრა.

მისი თქმით, ენერგეტიკის მინისტრი საკრებულოში ხალხის შერჩევით არის დაკავებული.

– „ქართულ ოცნებას“ ხალხი აღარ ჰყავს. თვითმმართველობის არჩევნებისთვის, შესაძლოა, პარტიული სიების დაკომპლექტებაც კი გაუჭირდეთ. გარდა იმისა, რომ ხალხი არ ჰყავთ, „ოცნებაში“ კვოტების გადანაწილებაზე მიდის ერთმანეთის დაჭმა. კალაძე მოქმედ საკრებულოში ისეთ ხალხს არჩევს, ვისაც ის მომავალში დაეყრდნობა, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში სადღობელაშვილმა.

ის არ ადასტურებს „ოცნების“ კულუარებში გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ვიცე-პრემიერი ულტიმატუმს აყენებს.

– კალაძე არ არის იმ მდგომარეობაში, რომ ულტიმატუმი წამოაყენოს. მას ასარჩევად რომ ჰქონდეს საქმე, პირველი ვიცე-პრემიერის თანამდებობას აირჩევდა. შექმნილ ვითარებაში ის მერობაზეც თანახმაა, მაგრამ ერთ პირობას აყენებს. ის ითხოვს, რომ დედაქალაქის საკრებულოში თავისი კვოტა ჰყავდეს, – ამბობს პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი.

მისი თქმით, საკრებულოში მერობისთვის განწირული კალაძე იმდენი კაცის შეყვანას შეეცდება, რომ მისი იმპიჩმენტი ვერავინ შეძლოს.

სადღობელაშვილის ინფორმაციით, კალაძეს უკვე ჰყავს რამდენიმე ადამიანი შერჩეული. ამ ადამიანების ვინაობას ალიანსის წარმომადგენელი ჯერ არ ასაჯაროებს. ამბობს იმას, რომ თუ „ოცნება“ არჩევნებს მოიგებს, დედაქალაქის საკრებულოს ისევ გია ალიბეგაშვილი ჩაუდგება სათავეში.

მისივე ინფორმაციით, ამ ეტაპზე „ოცნებაში“ თვითმმართველობის არჩევნებისთვის კვოტების გადანაწილება ვერ ხერხდება. ამაში „დამნაშავე“ პრემიერი ყოფილა.

– ბუნებრივია, რომ პრემიერს თავისი კვოტა ექნება, მაგრამ აქ პრობლემა ის არის, რომ კვირიკაშვილი შეიძლება ყოველ წუთას გადააყენონ. ამიტომაც არ ჩქარობენ, – მიიჩნევს სადღობელაშვილი.

ის ვარაუდობს, რომ ახალ პრემიერს იმ დროისთვის დანიშნავენ, რომცა კვოტები უკვე გადანაწილებული იქნება:

– ეტყობა, ეს ბიძინა ივანიშვილის სტილია. ყველაფერი გააკეთა, რომ კვირიკაშვილს პარლამენტში 1-2 კაცის მეტი არ ჰყოლოდა. ახალ პრემიერს სულ არ ეყოლება საკუთარი ხალხი პარლამენტში. მას არც თვითმმართველობებში ეყოლება საკუთარი გუნდი, რაც იმას ნიშნავს, რომ დამოუკიდებელ თამაშს ვერასდროს ითამაშებს.

პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენლის თქმით, კალაძემ ივანიშვილის ეს თვისება კარგად დაამუღამა და ამიტომაც ითხოვს საკრებულოში მსუყე კვოტას.

გიორგი მარგველაშვილი: „სპეცსამსახურებს ყველაზე მეტი ნდობა უნდა ჰქონდეთ“

– ჩვენ უნდა ავაშენოთ ქვეყანა, სადაც სპეცსამსახურები იქნებიან ყველაზე მეტი ნდობის სტრუქტურები. ხშირად ხდება ხოლმე, როდესაც ჩვენი ღრმად პატივცემული და უაღრესად განათლებული პოლიტიკოსები გამოდიან და ამბობენ – ერთი მხრივ ადამიანის უფლებები, მეორე მხრივ – სახელმწიფო ინტერესები.

საკითხის ასე დაყენება ნიშნავს, რომ შენ ჯერ კიდევ საბჭოთა სისტემით აზროვნებ.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებთან შეხვედრაზე განაცხადა, სადაც ე.წ. მოსმენების კანონთან დაკავშირებით ისაუბრა.

მისი თქმით, თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებებსა და სახელმწიფო ინტერესებს შორის არის ტოლობის ნიშანი და ვისაც ეს არ ესმის, საბჭოთა წარსულიდან ვერ გამოფხიზლდა.

– ჩვენ უნდა მივიღოთ ისეთი სისტემა, როდესაც არავის ეგონება, რომ უსმენენ. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ამ ორ ინტერესს შორის არის ტოლობის ნიშანი. ვისაც ეს არ ესმის, ვერ გამოფხიზლდა საბჭოთა წარსულიდან. კიდევ ერთხელ სახელმწიფოსა და ინდივიდის გაყოფა არის ის, რაშიც ჩვენ ვცხოვრობდით 70 წელიწადი, დაწყებული დერჟინსკის მიერ ორგანიზებული მატროსებით, გაგრძელებული „ენკავედეთი“, „ჩეკათი“ და „კაგებეთი“. ეს აღარ არის ის, რაშიც უნდა ვიცხოვროთ. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ სწორედ იმ ტოლობის ქვეშ. ყურადღებით ვაკვირდები, რა ხდება მოსმენების

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

კვირიკაშვილი და მარგველაშვილი შეიძლება გაერთიანდნენ

„პრეზიდენტის სასახლე პარტიულ ოფისად გადაიქცა“

შორენა მარსაგიშვილი

გიგლა ბარამიძე: „მისტერ ვეტო ოსტატურად მუშაობს საკუთარ რეიტინგზე“

რა ხდება პრეზიდენტის გუნდში, რატომ არ უპირისპირდება სხვა მეოცნების მსგავსად მას პრემიერი, დგას თუ არა ვინმე მარგველაშვილის უკან? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი **გიგლა ბარამიძე** ესაუბრება.

– ერთ დროს გიორგი მარგველაშვილი „ოცნებაში“ ყველაზე ურეიტინგო იყო, ბოლო კვლევების მიხედვით, ის ყველაზე რეიტინგულ ლიდერად დასახელდა. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

– გიორგი მარგველაშვილს გასიგრძეგანებული აქვს, რომ ის არის არა საქართველოს პრეზიდენტი, არამედ პოლიტიკური დაჯგუფების წევრი და ის თავის მომავალ კარიერაზე მუშაობს. მან ძალიან ჭკვიანურად და ეშმაკურად გამოიყენა „ქართული ოცნების“ ბუტიაობა და დაპირისპირება. თუ ვინმეს ეს დაპირისპირება აწყობს, ეს მარგველაშვილია.

ის თამაშობს დაჩაგრულის იმიჯს, ხელს „ოცნებისკენ“ იშვერს, იძახის, აი, რა დღეში მაგდებენ, სინამდვილეში კი ამას სათავისოდ იყენებს. „ოცნების“ წევრების გაუთვლელი და გაუწონასწორებელი გამოსვლების წყალობით, ეს კაცი გამუდმებით დღის წესრიგში არის. კაცი არაფერს აკეთებდეს და მუდმივად მთავარი თემა იყოს, საოცარია!

– „ოცნება“ ვერ აცნობიერებს, რომ მის რეიტინგზე მუშაობს?

– ესენი ხომ თავის ქცევებს არ უფიქრდებიან. მარგველაშვილი ძირითადად 2 რამით გვახსენებს თავს. ერთი, ყველაფერზე ვეტოს ადებს და ამის გამო მას „მისტერ ვეტოც“ კი დავარქვი. მეორეა „ოცნებასთან“ დაპირისპირება. ცოტა ხნის წინ იმაზე იყო ერთი ამბავი ატეხილი, მივიდოდნენ თუ არა უშიშროების საბჭოზე. ეს კვირა იმაზე ნერვიულობით დაიწყო, ვინ დაესწრება მის გამოსვლას პარლამენტში და იქნება თუ არა დებატები.

ამ დროს პრეზიდენტიც და მთელი ხელისუფლება ქვეყნის განვითარების სტრატეგიაზე უნდა ფიქრობდეს. სამწუხაროდ, ქვეყნის მომავალი ერთსაც და მეორესაც ფეხებზე ჰკიდია. მათთვის მთავარია, შეინარჩუნონ დღევანდელი მდგომარეობა.

მისტერ ვეტომ კარგად მოირგო ჩაგრულის მანტია და ოსტატურად მუშაობს თავის რეიტინგზე, პრეზიდენტის სასახლე კი პოლიტიკური პარტიის ოფისად გადააქცია.

– რომელიმე პარტია გყავთ მხედველობაში?

– მარგველაშვილის პარტიული ოფისია პრეზიდენტის სასახლე. ეს პარტია ჯერ ოფიციალურად არ შექმნილა, ეს მალე მოხდება. პრეზიდენტის სასახლე უკვე პარტიული ოფისის რეჟიმში მუშაობს. მთელი მისი გარემოცვაც პოლიტიკური პარტიასავით იქცევა.

პრეზიდენტის მრჩევლებიდან ბევრს ვიცნობ და პატივსაც ვცემ, მაგრამ ისინი არასწორად იქცევიან. მრჩეველი პოლიტიკური განცხადებების გაკეთების უფლებას არ უნდა აძლევდეს საკუთარ თავს. „ახალ თაობასთან“ და სხვა მედიაშიც არაერთხელ ვთქვი, რომ მარგველაშვილი თავისი გუნდისთვის ხალხს ეძებს. ახლა შემიძლია გითხრათ, რომ მან უკვე იპოვა თანამოაზრეები.

– მის თანამოაზრეებში ვის გულისხმობთ?

– მის გვერდით შესაძლოა ვიხილოთ დაშლილი რესპუბლიკელების რაღაც ნაწილი. არ გამოვრიცხავ, რომ მასთან აღმოჩნდნენ დაშლილი ნაციონალებიც.

– პრეზიდენტის სასახლეა თუ ელიავას ბაზრობა, ამდენი დაშლილი რომ უნდა შეიფაროს?

– ჩათვალეთ, ელიავას დაშლილებია ავლაბრის რეზიდენცია. ჩემი აზრით, პარტიის დასახელებაში აუცილებლად იქნება სიტყვა ევროპული. ახლა ხომ მოდაშია ასეთი სახელების დარქმევა და ეს ინდულგენცია ჰგონიათ. გააჩენენ სახელწოდებაში ევროპას და ეს ცალტვინები ისეთი გაჯგიმულები დადიან, თითქოს მართლა ევროპელი პოლიტიკოსები იყვნენ.

მარგველაშვილი ასეთ ხალხს მიიზიდავს, მათთან ერთად, მისი ჭკუით, დიდ გაერთიანებას შექმნის. თუ მოატყუეს ამომრჩეველი, ხომ კარგი, თუ არადა, არაფერი, რამეს კიდევ მოიფიქრებენ.

მოდით, ახლა ის ვთქვათ, ან „ოცნების“ ანდა პრეზიდენტის ქმედებებიდან ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი რა არის? არაფერი.

– მნიშვნელოვანი შეიძლება არაფერია, მაგრამ მათი დაპირისპირება ერთგვარი სანახაობაა ერისთვის.

– სანახაობაა, მაგრამ ძალიან უღიმღამო, რომლის ყურება და კომენტირებაც კი აღარ გინდა. 2013 წლის ბოლოდან მოყოლებული, რაც ეს კაცი პრეზიდენტად დასვეს, ყოველთვე ერთი და იგივე აბრაკადაბრა იწყება. თქვე დალოცვილებო, ტერიტორიული მთლიანობა თავზე დაგვემხო, ჩვენი ტერიტორიიდან ყოველდღე იტაცებენ ადამიანებს, ხან სად ავლენენ მავთულხლართებს და ერთმანეთის ჭამას ამაზე ილაპარაკეთ.

– მავთულხლართებზე ერთხელ თქვა პრეზიდენტმა, მოვა დრო და ამ მავთულხლართებს ჯართში ჩავაბარებთო.

– ჩააბარებს, როგორ არა. იმისთვის, რომ ეს მავთულხლართები ჯართშო ჩააბარო, ჯერ იმ ქვეყანას უნდა დაელაპარაკო, ვინც ეს გაავლო. ესენი რუსებს კი არა, ჩვენს დასავლელ მეგობრებსაც აღარ ელაპარაკებიან და არ სთხოვენ, რომ ჩვენს დაკარგულ ტერიტორიულ მთლიანობაზე გააკეთონ განცხადებები.

– „ოცნების“ და პრეზიდენტის დაპირისპირებაში მართლა კარგად გამოიყურება პრემიერი. კვირიკაშვილს არც ერთი მკვეთრი განცხადება არ გაუკეთებია მარგველაშვილის მიმართ. ამან გააჩინა ეჭვები, რომ ის მომავალში შესაძლოა მარგველაშვილის გუნდში ვიხილოთ. ამაზე რას ფიქრობთ?

– კვირიკაშვილი ყველანაირად დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს. ამას მეც კი ვაღიარებ, მიუხედავად იმისა, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას ძალიან მწვავედ ვაკრიტიკებ. ახლაც ვიტყვი, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ბევრი რამე არ მომწონს და ბევრი რამეა შესაცვლელი.

– თუ ასეა, მაშინ რატომ ტოვებს კვირიკაშვილი დადებით შთაბეჭდილებას?

– მგონია, რომ რაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში ხდება, იმას კვირიკაშვილს ვერ დაბრალებ. მას მეტის გაკეთების საშუალება და უფლება არ ეძლევა. არც იმას გამოვრიცხავ, რომ მთავრობაში არის სხვადასხვა დაჯგუფებები და ისინი პრემიერს ხელს უშლიან.

კვირიკაშვილი ცდილობს საქმის გაკეთებას და მისნაირი პრემიერი ნამდვილად დადებითი მოვლენაა ქართულ პოლიტიკაში. პრეზიდენტთან დაძაბულობას იმიტომ არ ქმნის, რომ, სხვებისგან განსხვავებით, ყველაფერს სახელმწიფოებრივი თვალით უყურებს.

შესაძლოა, მას მარგველაშვილთან სხვა ურთიერთობა აქვს და მათ შორის რაღაც კულუარული შეთანხმებაც არსებობს.

– ეს შეთანხმება შეიძლება მათ გაერთიანებას გულისხმობდეს?

– ქართულ პოლიტიკაში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ მე მაინც არა მგონია, რომ ასეთი ერთობა შედგება. კვირიკაშვილი ალბათ არ მოისურვებს იმ ადამიანთან წასვლას, რომელმაც თავი იმის ძახილით გაგვაცნო, პლასტელინი ვარო. მოქმედი პრეზიდენტი ვერასდროს გახდება დამოუკიდებელი ფიგურა. ის გახლავთ შემგუებლური, გონიერი და ეშმაკი, ახალ სიტუაციას კარგად მორგებული კაცი. ის თავის თანამდებობას ძალიან კარგად იყენებს.

აბა მოდით, ჩამოვაცილოთ მას ავლაბრის სასახლე, წოდება პრეზიდენტი და დატოვე, როგორც პარტიის წევრი ქუჩაში. მაშინ მასთან გაერთიანების სურვილი არავის აღარ გაუჩნდება.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ის ძალები, ვინც მის გარშემო აპირებენ შემოკრებას, გროვდებიან პრეზიდენტის და არა კონკრეტულად მარგველაშვილის გარშემო?

– რა თქმა უნდა, მათთვის არაპრეზიდენტი მარგველაშვილი საინტერესო არ იქნება. ამ განცხადებით მას სულაც არ ვამცირებ, სულ იმას გავიძახი, რომ, სხვებისგან განსხვავებით, ის განათლებულია და აზროვნებს.

ჩემთვის მიუღებელი ის ფაქტია, რომ ის თანამდებობის მიღების შემდეგ სულ სხვა ადამიანად გადაიქცა. ამას სხვა სახელი ჰქვია და არ ვარ დარწმუნებული, რომ სიტუაციიდან გამომდინარე ის კიდევ არ შეიცვლის პოლიტიკურ ფერს.

– არის იმის ალბათობა, რომ სიტუაციიდან გამომდინარე, ის კვლავ „ოცნებას“ დაუბრუნდეს?

– არაფერი გამორიცხული არ არის. ის ივანიშვილის მიმართ მადლიერი უნდა იყოს. ყოფილი პრემიერი რომ არა, მარგველაშვილი ისტორიაში ვერასდროს შევიდოდა. მარგველაშვილი ისეთი ტიპაჟია, რომ ის სხვასაც იოლად მისცემს იმის უფლებას, რომ ის მართოს.

– შეიძლება რომ მის უკან ახლაც ვინმე იდგეს, მაგალითად, ქვეყნის გარეთ? ქართული პოლიტიკა ძირითადად ქვეყნის გარედან იმართება.

– გამორიცხული არაფერია. მან თავისი ვითომ პრინციპულობაც ბიზნესად აქცია. სადაც მართლა საჭიროა, იქ სულაც არ ამჟღავნებს პრინციპულობას. მის გარშემოც ასეთი ხალხი იყრის თავს. ეს იმ კატეგორიის ხალხია, რომლებიც არასდროს წავლენ ქვეყნისთვის თავის გასაწირად. მათთვის კომფორტია მთავარი. ამიტომაც არის, რომ ჩვენს ქვეყანას აღარც ახსენებენ. ევროპაში ქართველ ჩინოსნებს სახელმწიფოებრივად მოაზროვნეებად არავინ მიიჩნევს.

იმ დღეს ნატოს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა რადიო თავისუფლებას მისცა ინტერვიუ, სადაც მან საქართველოს ნატოსთან მიმართებაში ხუთოსანი მოწაფე უწოდა. ამას ეუბნებიან 30 საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მქონე ქვეყანას და ისიც ბედნიერია ამ შეფასებით.

როცა მოწაფედ მოხსენიება გეამაყება, როცა რომელიღაც ქვეყნის ელჩი, რომელიც დიპლომატია და მეტი არაფერი, ყოველდღე ჭკუას გასწავლის, ნიშნავს, რომ შენ ხელისუფლება არა გყავს ან თუ გყავს, ძალიან სუსტი და მშიშარა.

ამ დროს ჩვენი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ამბავი სულ უკან-უკან იწევს. ამ თემაზე ხელისუფლების წარმომადგენლები აღარც კი საუბრობენ. ერთ-ერთ შეხვედრაზე ისიც კი მითხრეს, დღეს ვინმეს ახსოვს ტაო-კლარჯეთი, სოჭის მხარე და აღმოსავლეთ საქართველოსგან წაღებული რამდენიმე რაიონიო, 10 წელიწადში აღარც აფხაზეთი და სამაჩაბლო ემახსოვრებათო.

– თქვენი აზრით, მართლა არ ემახსოვრებათ 10 წლის შემდეგ აფხაზეთი და სამაჩაბლო?

– ასე თუ გაგრძელდა, არ ემახსოვრებათ. ხელისუფლების დიდ ნაწილს არც ახლა ახსოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს დასავლელ მეგობრებს სთხოვდნენ, რომ ამ საკითხზე მწვავე განცხადებები გაეკეთებინათ. არც იმას სთხოვენ, პუტინთან რომ წახვალთ დიალოგზე, ჩვენი საკითხიც დააყენეთო. ამას ჯერ ერთი იმიტომ არ აკეთებენ, რომ ეს ამბავი არ ანაღვლებთ და მეორე იმიტომ, რომ ევროპელების შეწუხება არ უნდათ. ისინიც ამით კმაყოფილები არიან და აქებენ ჩვენს ხელისუფლებას.

ამ ყველაფერზე გული ძალიან მტკივა, მაგრამ საზოგადოების რეაქცია კიდევ უფრო საწყენია. ისინი აყვნენ ცუდად დაწერილ 1001 ღამეს და ბედნიერები არიან ამით. ფეისბუქზე რომ შევდივარ, საოცრებებს ვკითხულობ – ესენი სხვაგან არიან, საქართველო – სხვაგან. ხელისუფლებამ ასეთი საოცარი აზროვნების სტილი ჩამოაყალიბა.

ოპოზიცია ფართომასშტაბიან აქციებს აანონსებს

თვითმმართველი ქალაქისთვის სტატუსის ჩამორთმევის იდეას ნეგატიურად აფასებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ანი წითლიძე.

როგორც წითლიძემ „ნიუპოსტს“ თემის კომენტირებისას განუცხადა, ამ საკითხის ირგვლივ ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ.

წითლიძე პოლიტიკოსებს და არასამთავრობოებს ამ საკითხის ირგვლივ გაერთიანებისკენ მოუწოდებს.

მისი თქმით, თუ ხელისუფლებამ მოსახლეობის ნება არ გაითვალისწინა, თვითმმართველი ქალაქის სტატუსის შენარჩუნების მოთხოვნით, ქვეყნის მასშტაბით პერმანენტული აქციები გაიმართება.

– ხელისუფლების არათანმიმდევრული და არაკომპეტენტური პოლიტიკის გამო, ზუგდიდს თვითმმართველი ქალაქის სტატუსის ჩამორთმევა ემუქრება რაც კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის და დემოკრატიის განვითარებისათვის ქვეყანაში.

არ დავუშვებთ, რომ ზუგდიდი დარჩეს ქალაქის სტატუსის გარეშე, რადგან თვითმმართველი ქალაქის სტატუსი სჭირდება ქალაქს განვითარებისათვის.

სწორედ ამიტომ, 5 აპრილს, 12 საათზე, გელოდებით ზუგდიდის მერიის (გუბერნიის) წინ, რომ ერთად გამოვხატოთ პროტესტი და ხელმოწერით დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია.

მიუხედავად პოლიტიკური პოზიციებისა, დიდი იმედი მაქვს, ყველა პოლიტიკურ პარტიას ზუგდიდში, არასამთავრობო ორგანიზაციებს და რიგით ზუგდიდელებს არ გაუჭირდებათ პოზიციის ღიად დაფიქსირება და ქალაქის სტატუსის დაცვა.

ზუგდიდი იმსახურებს იყოს თვითმმართველი ქალაქი! – აცხადებს წითლიძე.

შეგახსენებთ, რომ 7 თვითმმართველი ქალაქის: ზუგდიდის, ოზურგეთის, გორის, თელავის, ახალციხის, მცხეთისა და ამბროლაურის უფლებამოსილების გადახედვის იდეა მმართველ გუნდს ეკუთვნის. ინიციატივას მხარს უჭერს პარლამენტის თავმჯდომარეც. ირაკლი კობახიძეც ამტკიცებს, რომ მათი სტატუსი უნდა შეიცვალოს.

ნიუპოსტი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

კახა კუკავა: „სითი პარკის წილში არის ბიძინა ივანიშვილი“

„ერთი თვით დამნიშნონ პროკურორად და მე გამოვიძიებ ამ საქმეს“

ნონა ცაბაძე

თბილისის მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი მძღოლებში, დღითიდღე მატულობს აგრესია სითი პარკის მიმართ.

ბოლო 2 წლის განმავლობაში სითი პარკმა 62 მილიონი ლარი ამოიღო მოსახლეობის ჯიბიდან. როგორც კახა კუკავა საკუთარ ფეისბუქ გვერდზე ამბობს, ამ თანხიდან 18 მილიონი სითი პარკმა თბილისი მერიას გადაურიცხა, დანარჩენი კი სახლში წაიღო.

„ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დროს კეთდებოდა განცხადებები, რომ სითი პარკის თავნებობას აუცილებლად მოეღებოდა ბოლო, რომ მას ხელშეკრულებას გაუუქმებდნენ, თუმცა ასე არ მოხდა. ვინ მფარველობს ამ ბიზნესს და რომელ მაღალჩინოსნებს მისდით წილები ამ ბიზნესიდან? „ახალ თაობას“ ამის შესახებ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **კახა კუკავა** ესაუბრება.

– ბატონო კახა, წლებია, საზოგადოება სითი პარკის წინააღმდეგ იბრძვის. იყო საუბარი, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ყველაფერი დალაგდებოდა, თუმცა ასე არ მოხდა. ბოლო ორ წელიწადში 62 მილიონი აქვთ ამოღებული ჩვენი მოქალაქეების ჯიბიდან. რა ხდება, ვინ მფარველობს ამ კომპანიას?

– ამ საქმეზე 2,5 წელი იჯდა ციხეში უგულავა და დიდი იმედი მაქვს, რომ ცოტა უფრო მეტს გაატარებენ ციხეში ბიძინა ივანიშვილი, კახი კალაძე, დავით ნარმანია და კიდევ ის პირები, რომლებსაც გამოძიება დაადგენს. სავარაუდოდ, ამ სიაში მოხვდება უჩა მამაცაშვილიც.

– თქვენ მიერ ჩამოთვლილნი მფარველობენ სითი პარკს?

– არა მარტო ეს ხალხი. თუმცა ამ საქმეში მთავარი დამნაშავეა ორი პიროვნება, ბიძინა ივანიშვილი და დავით ნარმანია.

– ივანიშვილი რა შუაშია?

– იმიტომ, რომ როცა მრავალმილიონიანია კორუფციული გარიგება, მას უბრალოდ სხვა რანგი ვერ გადაწყვეტს, ამ მასშტაბის კორუფციაზე სანქცია უნდა გასცეს ივანიშვილმა და ამ საქმეზე აუცილებლად ჩაჯდება ციხეში დავით ნარმანია, იმიტომ, რომ ყველა შემთხვევაში, ფორმალურად მისი ხელმოწერაა საჭირო.

ბიძინა ივანიშვილი უშუალოდ ვერ განახორციელებდა ამ კორუფციას ნარმანიას გარეშე. ეს ორი მინიმუმ არის ამ საქმეში. სავარაუდოდ, ამ საქმეში მონაწილეობს ასევე ივანიშვილის ფინანსური გარემოცვა, რომლებიც არიან უჩა

მამაცაშვილი, ზვიად ჯანყარაშვილი და კახი კალაძე! აგრეთვე მთელი რიგი სხვა ჩინოვნიკები თბილისის მერიიდან.

– როგორ ხორციელდება ეს სქემა და საერთოდ რატომ ფიქრობთ, რომ კორუფციული გარიგებაა?

– ეს არის მსოფლიოს ყველა ქვეყანაში კანონი და ასი შემთხვევიდან ასივე შემთხვევაში ასეა. შეიძლება დაბალი რანგის ჩინოვნიკებმა მოიპარონ 100 ლარი, 1.000, 10.000 ან თუნდაც 1 მილიონიც, თუ ძალიან ნიჭიერები არიან, მაგრამ როცა საქმე ეხება იმას, რომ მრავალი წლის მანძილზე ხდება ათეულობით მილიონი ლარის მოპარვა თბილისის ბიუჯეტიდან, ამის გაკეთება შეუძლებელია მაღალი რანგის ხელისუფალთა თანხმობის გარეშე.

– გადაიბარეს ნაციონალებისგან ეს ბიზნესი?

– რა თქმა უნდა, ეს ხდება ხელისუფლების თანხმობით და მათ არაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ეს თემა შეეცვალათ. ის არგუმენტები, რომლებიც მათ აქვთ, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

– მერიას აქვს თავისი არგუმენტები?

– პირველი არგუმენტი არის ის, რომ 25 მილიონის გადახდა მოგვიწევს, თუმცა აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რეალურად 25

მილიონზე ბევრად უფრო მეტს იხდის თბილისი. ასევე, ეს არგუმენტად იმიტომ არ არის მისაღები, რომ 25 მილიონს ვიხდით იმ შემთხვევაში, თუ პირწმინდათ წავაგებთ და რატომ ამბობს თბილისის მერია, რომ ამ საქმეს პირწმინდად წავაგებთ, ეს გაუგებარია.

– არ არსებობს ამის საფრთხე?

– არა, მაშინ როდესაც ჩვენ გვაქვს ჩვენი არგუმენტები და სითი პარკს არ შეუსრულებია თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები, მათ შორის პარკინგის სივრცეების მოწყობის შესახებ.

აქ ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ არა საქმის წაგებაზე, არამედ საქმე უნდა იქნეს გამოძიებული სისხლის სამართლებრივი წესითაც და ამ საქმეში უნდა დადგინდეს, სითი პარკმა ვის გადაუხადა თავის დროზე ქრთამი, რომ ეს ექსკლუზიური უფლებები მიეღო.

– ფიქრობთ, რომ ქრთამი გადაიხადა?

– რასაკვირველია და როდესაც ეს გარემოებები გამოიკვლეოდა, ჩვენ კი არ გადავუხდიდით სითი პარკს 25 მილიონს, არამედ სითი პარკი თვითონ შეგვეხვეწებოდა, რომ თავად გადაიხდიდნენ 25 მილიონს, ოღონდ ჩვენ არ გვეჩივლა და არ გვეწარმოებინა სისხლის სამართლის საქმე. აი, ეს არის რეალობა და როდესაც ეს მოქმედებები არ ხორციელდება, ეს თეთრი ძაფით ნაკერი საქმეა, რომ ეს არის ივანიშვილის ოჯახის მიერ განხორციელებული კიდევ ერთი კორუფციული ქმედება.

რაც შეეხება ბოლო არგუმენტს, რასაც სახელოვანი ქოცები ყოველთვის იძახიან, რომ ივანიშვილს ამდენი მილიარდები აქვს და რაში სჭირდება სითი პარკის მილიონები...

– ამას არ იღებთ არგუმენტად?

– რაც აქვს მას, ის თავისი 8 მილიარდი, სულ ნაშოვნი აქვს ბიუჯეტის ძარცვის შედეგად. მისი მილიარდები, კიდევ სხვა რუსი მილიარდერების მსგავსად, ნაშოვნია სწორედ ბიუჯეტის

ძარცვის ხარჯზე! ამიტომ ეს ლოგიკა, რომ რად უნდა ხალხის ძარცვა, ისმის იმ ხალხისგან, ვისაც სინდისი არ აქვს, ან მათგან, ვინც ჩახედული არ არის, რითი იშოვა ბიძინა ივანიშვილმა მილიარდები.

– ანუ ამის სურვილი თუ იქნება, თბილისის მერიას აქვს იმის ბერკეტები, რომ სითი პარკის თავნებობა ალაგმოს?

– რასაკვირველია. თბილისის მერიას, გარდა ხელშეკრულების გაუქმებისა, აქვს უამრავი საშუალება. ელემენტარულად თბილისის მერიამ თბილისელების მიმართ ჯარიმები რომ არ დაუკმაყოფილოს სითი პარკს, უკვე სითი პარკს ჩამოერთმევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

ერთი თვით დამნიშნონ პროკურორად, მე გამოვიძიებ ამ საქმეს, დავკითხავ ყველა ჩინოვნიკს, ბევრისგან ისედაც ვიცი არაოფიციალურად ინფორმაცია, ვინ რამდენი ქრთამი გადაიხადა, სითი პარკმა ვის რა წილები გაუყო, ამ კონტრაქტიდან გამომდინარე და მერე ვნახოთ, სითი პარკი გვიჩივლებს თუ არა! არაფერსაც არ გვიჩივლებს, იმიტომ, რომ ვალდებულნი იქნებიან, ჩაჯდნენ 10 წლით ციხეში!

– ანუ თქვენ ამტკიცებთ, რომ ამ ბიზნესში სერიოზულ წილშია ხელისუფლება?

– ხელისუფლებას რომ ვამბობთ, ისე გამოდის, თითქოს კვირიკაშვილია წილში. თუ სიმართლეა, სიმართლე იყოს, წილში არის ბიძინა ივანიშვილი! თავის დროზე იყო წილში მიხეილ სააკაშვილი, ხოლო როდესაც პიქსელის შენობაში მოხდა წილების გადაბარება, ინვესტორებისგან, რომლებსაც მანამდე წეწავდა მიშა, ეს წილები გადაიფორმეს ივანიშვილმა და მისი ოჯახის წევრებმა.

საქართველოს აეროპორტებში მგზავრთა რაოდენობას დიდად არ მოუმატია

ნონა ცაბაძე

შენგენის ზონაში საქართველოს მოქალაქეთა უვიზო მიმოსვლის დაწყების შემდეგ იყო მოლოდინი, რომ მგზავრთა ნაკადი მკვეთრად მოიმატებდა.

მოიმატა თუ არა აეროპორტებში მგზავრთა რაოდენობამ, როგორია სტატისტიკური მონაცემები ერთი კვირის თავზე? ამის გარკვევას „ახალი თაობა“ როგორც თბილისის, ისე ქუთაისის აეროპორტების ადმინისტრაციაში შეეცადა, თუმცა ამ ინფორმაციის მოპოვება არც ისე ადვილი გამოდგა.

ჩვენ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საინფორმაციო სამსახურის მენეჯერ ამირანთან შევძელით გასაუბრება, რომელმაც ჩვენს კითხვაზე, იმატა თუ არა მგზავრთა რაოდენობამ, გვიპასუხა, რომ ამ ინფორმაციას არ ფლობდა.

– მე ამ თემაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, ხელმძღვანელობას უნდა დაუკავშირდეთ, თუმცა, მე რაც შემიძლია გითხრათ, დიდი მატება არ არის, ჯერ მხოლოდ ოთხი დღეა გასული.

– ანუ მგზავრთა რაოდენობის ზრდა არ შეინიშნება? მოლოდინი გაცილებით დიდი იყო.

– ხომ გითხარით, რამდენიმე დღეა გასული და სტატისტიკური მონაცემები არ გვაქვს.

ბატონმა ამირანმა აეროპორტების გაერთიანების სამსახურთან გადაგვამისამართა და ჩვენ იგივე კითხვით მარიკა ზაუტაშვილს მივმართეთ:

– ქალბატონო მარიკა, უვიზო მიმოსვლის შემდეგ იმატა აეროპორტებში მგზავრთა რაოდენობამ? კონკრეტულად რომელი ქვეყნების მიმართულებით არის გაზრდილი მოთხოვნა?

– ამ ეტაპზე არ გვაქვს ინფორმაცია. ეს სტატისტიკა თვეების მიხედვით უნდა გაკეთდეს, რომელიმე კონკრეტულ თვეს უნდა შევადაროთ, ასე, დღეების მიხედვით, ვერ გეტყვით.

– ხომ შეიძლება, რომ გასული ერთი კვირის შესახებ არსებული ინფორმაცია მოგვაწოდოთ?

– იცით, ამ ინფორმაციას კონკრეტული სამსახური გვაწვდის, მაშინ მათ უნდა ვკითხო, გადავამოწმებთ და დამიკავშირდით.

ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ ქალბატონმა მარიკამ მოგვწერა, რომ ამ ეტაპზე ამ სახის ინფორმაციას ვერ მოგვაწვდიდა.

ქუთაისის აეროპორტში, ანალოგიური პასუხით, აეროპორტების გაერთიანებაში გადაგვამისამართეს, ამ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი ეს სამსახურიაო. თუმცა, ვერც ამ სამსახურიდან შევძელით კონკრეტული ინფორმაციის მოძიება.

გიორგი მარგველაშვილი: „სპეცსამსახურებს ყველაზე მეტი ნდობა უნდა ჰქონდეთ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

კანონთან დაკავშირებით. იმ ბრილიანტების ფონზე, როდესაც ლამის ტერორისტული აქტის დაგეგმვაში დამდეს ბრალი, იყო რაღაც პოზიტივიც, იყო საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის აქტიურობა. ამ აქტიურობის შედეგად გავაგებინებთ სპეცსამსახურების ემოციით ზედმეტად აჟიტირებულ პოლიტიკოსებს, რომ რაც უფრო მეტად ჩავრევთ საზოგადოებას სახელმწიფო დაცვაში, მით უფრო ძლიერი იქნება სპეცსამსახურები, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, პატრულს, სპეცსამსახურებისგან განსხვავებით, მაღალი ნდობა აქვს. როგორც მარგველაშვილი აღნიშნავს, ქვეყანა უნდა მივიდეს იქამდე, რომ სპეცსამსახურებს საზოგადოებაში ჰქონდეს მაღალი ნდობა. მან ამ თემაზე საუბრისას სპეცსამსახურების მიერ წარსულში დანერგილი პრაქტიკაც გაიხსენა.

– ამ კანონთან დაკავშირებით ორჯერ გამოვიყენე ვეტო და ვცდილობდი გამეგებინებინა ჩვენი ღვაწლმოსილი პოლიტიკოსებისთვის, რას ნიშნავს ქვეყნის ეფექტური უსაფრთხოება. ეს გულისხმობს პირველ რიგში შემდეგს – როდესაც ხალხი ენდობა სპეცსამსახურებს. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რა წარსულიდან მოვდივართ. ჩვენ მოვდივართ იმ წარსულიდან, როდესაც სკოლაში ანეკდოტებს ვერ ვყვებოდით, ჩვენ მოვდივართ იმ წარსულიდან, როდესაც უნივერსიტეტში ეროვნული მოძრაობის დროს აქტიურ სტუდენტებს იტაცებდნენ, ოთახში შეჰყავდათ და ჰკითხავდნენ.

ჩვენ მოვდივართ იმ პერიოდიდან, როდესაც ათასობით ადამიანი იყო რეპრესირებული სპეცსამსახურის მიერ. ჩვენ მოვდივართ „ჩეკას“, „ენკავედეს“ და „კაგებეს“ წარსულიდან და ამ საზოგადოებაში განსაკუთრებული ნაბიჯი უნდა გადაიდგას, რომ ჩვენი სპეცსამსახურების მიმართ იყოს ნდობა, რადგან ჩემი თაობა და ჩემი მშობლები ამ შიშში იზრდებოდნენ, რომ, თუ სპეცსამსახურებმა გაგიგეს, ცუდი დღე ეწევა შენს ოჯახს და შენს ახლობლებს. ეს სისტემა დაინგრა. საბჭოთა კავშირი თავისი უძლიერესი „კაგებეთი“ დაინგრა, რადგან ხალხს ეზიზღებოდა კაგებე.

ახლა ჩვენ უნდა ავაშენოთ ქვეყანა, სადაც სპეცსამსახურები იქნებიან ყველაზე მეტი ნდობის სტრუქტურები. პატრულს მაღალი რეიტინგი აქვს, რადგან ხალხი ენდობა. ვერ ვიტყვი, რომ სპეცსამსახურების მიმართ არის მაღალი ნდობა, თუმცა აქამდე უნდა მივიდეთ და ეს უნდა გავაკეთოთ პოლიტიკოსებმა და კანონმდებლებმა, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

* * *

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის შემცირების იდეას არ ეთანხმება.

როგორც პრეზიდენტმა სტუდენტებთან შეხვედრაზე განაცხადა, „არჩევნებზე მიბმული თვითმმართველობები“ უფრო მეტად უნდა გაიზარდოს.

– მარტო პრეზიდენტი კი არა, რაც შეიძლება მეტი არჩევითი თანამდებობა უნდა გვქონდეს თვითმმართველობებშიც. ის კი არა, რომ გავაუქმოთ თვითმმართველობები, პირიქით, რაც შეიძლება მეტი არჩევნებზე მიბმული თვითმმართველობა უნდა იყოს. ეს დიალოგი, რომ არჩევნები ჩატარდეს სოფლებსა და დაბებშიც, ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაიწყო.

შევარდნაძის ადმინისტრაციაში დავდიოდით და ვეუბნებოდით, რომ მიეცით ხალხს თავისი მერების, გამგებლების, საკრებულოების არჩევის შესაძლებლობა. პასუხი იყო, რომ ჯერ ადრეა. მე ვეუბნებოდი – თუ ხალხი შევარდნაძეს ირჩევს, გამგებელს რატომ ვერ აირჩევს? ე.ი. ხალხი თბილისში ხედავს, შევარდნაძე სჯობს თუ სხვა და თავის სოფელში ვერ ხედავს, რომელი იქნება უკეთესი მერი ან გამგებელი ან სოფლის თავი? – განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, დემოკრატიის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლია ხალხს იმის არჩევა, ვისაც უფლებებს ვაძლევთ.

ინტერპრესნიუსი

ელისო კილაძე: „გელა ხვედელიძე ჩემთან მეგობრობის გამო დაისაჯა“

შორენა მარსაგიშვილი

შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილე გელა ხვედელიძეს გუშინ, 3 აპრილს, თავს დაესხნენ. თავდასხმა მის სახლთან, 11.20 წუთზე მოხდა. ის მრავლობითი დაზიანებებით კლინიკაში გადაიყვანეს.

მომხდართან დაკავშირებით მაშინვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი ამბობს, რომ საქმეში ცეცხლსასროლი იარაღი არ ფიგურირებს.

– გამოძიება 117-ე მუხლითაა დაწყებული. ძალიან სწრაფად მოხდა ამ საკითხზე რეაგირება. პირველადი მონაცემები რაც გვაქვს, არის ის, რომ საქმეში ცეცხლსასროლი იარაღი არ ფიგურირებს. დანარჩენ დეტალებს გამოძიება დაადგენს, რომელიც დაწყებულია და ინტენსიურად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე რაიმე მოტივზე საუბარი ნაადრევია, – განაცხადა შალვა ხუციშვილმა.

მისგან განსხვავებით, თავდასხმის მოტივზე ღიად საუბრობს გელა ხვედელიძის მეგობარი, ჟურნალისტი ელისო კილაძე. „ახალ თაობასთან“ საუბარში ის ამბობს, რომ მინისტრის ყოფილი მოადგილე მასთან მეგობრობის გამო დაისაჯა.

ელისო კილაძე:

– გელა ხვედელიძეს თავს საკუთარ სახლთან დაესხნენ. ამ დროს ის მე მესაუბრებოდა ტელეფონით. ამ დროს გავიგონე მისი მეუღლის განწირული კივილი. ჩვენ ამ თავდასხმას ველოდებოდით.

თავდასხმის წინა დღეს, 2 აპრილს, საღამოს გელა ჩემთან იყო ოფისში მოსული და გამაფრთხილა. მითხრა, რომ სუსის უფროსის მოადგილე სოსო გოგაშვილი გამოუვალ მდგომარეობაშია, რადგანაც მან ვერ მიიღო ის შედეგი, რასაც ჩემი შვილისთვის ნარკოტიკების ჩადების შემდეგ ელოდა.

– რა შედეგზეა საუბარი?

– მას ეგონა, რომ ამ ფაქტის გამო მოხდებოდა ჩემი დემორალიზება და მე გავჩუმდებოდი. გოგაშვილი გამწარებულია იმაზეც, რომ ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილმა უჩა მამაცაშვილმა მას მფარველობაზე უარი უთხრა. ეტყობა, ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო სამსახურიდან მისი გაშვება. ამიტომაც გამაფრთხილა ხვედელიძემ, რომ ფრთხილად ვყოფილიყავი, რადგანაც გოგაშვილისგან ნებისმიერი რამ იყო მოსალოდნელი.

– მაგალითად, რა იყო მოსალოდნელი?

– გელა ფიქრობდა, რომ ჩემზე შესაძლოა მომხდარიყო თავდასხმა. მითხრა, რომ მარტო არ გავსულიყავი ქუჩაში. ამის გარდა, არც სახლში მირჩევდა მარტო ყოფნას და არც ოფისში. ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ ამ გაფრთხილებას მასზე თავდასხმა მოჰყვებოდა.

დიახ, ის დაისაჯა ჩემთან მეგობრობის გამო. გოგაშვილი მუდმივად ფიქრობდა, რომ ის ინფორმაციები, რომლებიც მაქვს, მაქვს ხვედელიძისგან. ის ამაზე არა მარტო ფიქრობდა, არამედ ამის შესახებ ხმებსაც ავრცელებდა.

– მედიაში ხშირად დაწერილა, რომ თქვენი ინფორმატორი სწორედ ხვედელიძე იყო.

– ამ დეზინფორმაციას მედიასაშუალებები გოგაშვილის დავალებით სისტემატიურად ავრცელებდნენ. ინფორმატორობა გოგაშვილმა მოიკითხოს თავისკენ და გაიხსენოს, ვისთან თანამშრომლობდა 2012 წელს და ვინ შეაგზავნა „ქართული ოცნების“ ახალგაზრდულ ფრთაში.

ამ მასალების გამოქვეყნებამ გოგაშვილი ძალიან გაამწარა. მას ასევე ამწარებს ის მასალები, რომლებიც „ქრონიკა +“-ის აპრილის ნომერში გამოქვეყნდა. საუბარია იმაზე, თუ რა გარჩევები იყო ჩემი შვილის დაკავების შემდეგ შუშის სასახლეში და რა უთხრეს გოგაშვილს. ეს იყო პატარა კაცის შურისძიება.

მთავარია, გელა ხვედელიძე გადარჩა და ვფიქრობ, რომ ეს საქმე ძალიან მალე გაიხსნება. მის სახლთან არის ძალიან ბევრი ვიდეოკამერა, სადაც თავდამსხმელები ჩანან.

აუცილებლად უნდა მოხდეს ამ საქმეზე გოგაშვილის დაკითხვა და დაკავება. ის კიდევ ერთი მძიმე დანაშაულისთვის – ჩემი შვილისთვის ნარკოტიკის ჩადების გამოც უნდა დააკავონ. ჩემი შვილი დღეს გლდანის ციხეშია და არც ვფიქრობ, რომ იქ მისი სიცოცხლის უფლება არის დაცული. ამის გარდა, ველოდები, რომ ჩემი ოჯახის სხვა წევრების წინააღმდეგაც შესაძლოა განხორციელდეს პროვოკაცია.

– რატომ არ უშვებთ იმას, რომ ხვედელიძეს სულ სხვა მიზნით დაესხნენ თავს?

– ნუ დამელაპარაკება ვინმე იმაზე, რომ ხვედელიძეს რაღაც ძველი ამბების გამო დაესხნენ თავს. ის უკვე 4 წელია, რაც მინისტრის მოადგილე აღარ არის. დადის დაცვის და იარაღის გარეშე. რაც 3 აპრილს მოხდა, ეს იყო გამიზნული თავდასხმა შურისძიების მიზნით.

– თქვით, რომ ხვედელიძემ გაგაფრთხილათ, რომ შეიძლება თქვენთვის რაღაც მოეწყოთ. ხვედელიძეზე მომხდარი თავდასხმის შემდეგ თუ არის კიდევ ასეთი რამე მოსალოდნელი?

– რა თქმა უნდა, მოსალოდნელია. ადამიანი, რომელიც მე მებრძვის, წავიდა ვაბანკზე და ყველაფერს იკადრებს. დღეს ამ ქვეყანაში დაცული არავინ არ არის. თუ ცოცხალი გადავრჩი, პირობას ვდებ, რომ გოგაშვილი ყველაფერზე, მათ შორის ხვედელიძეზე თავდასხმაზეც, მიიღებს პასუხს.

– გამორიცხავთ, რომ ვიღაცამ ეს თავდასხმა იმიტომ მოაწყო, რომ გოგაშვილს დაბრალებოდა. იქნებ ვინმე სხვა დგას ამის უკან?

– სრულიად გამოვრიცხავ. ხვედელიძე ამ 4 წლის მანძილზე თავისუფლად გადაადგილდებოდა ქუჩაში და მას აქამდე არავინ დასხმია თავს. კიდევ ერთხელ ვამბობ, ის ჩემთან მეგობრობის გამო დაისაჯა.

გელა ხვედელიძის მეუღლე: „ვცადე, თავდამსხმელისთვის ნიღაბი ჩამოვეგლიჯა“

შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, გელა ხვედელიძის ოჯახი შურისძიების მიზნით თავდასხმის მოტივს გამორიცხავს.

როგორც ჟურნალისტებს გელა ხვედელიძის მეუღლემ, მარეხ ფერაძემ განუცხადა, მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით ოჯახს ჯერჯერობით ვერსიები არ აქვს, თუმცა შურისძიებას გამორიცხავენ. მისივე თქმით, თავდამსხმელთა ვინაობა მათთვის უცნობია, თუმცა, ჟურნალისტებთან საუბრისას მომხდარს ფერაძე დეტალურად იხსენებს.

ხვედელიძის მეუღლის განცხადებით, შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც ისინი სახლიდან გამოდიოდნენ და მათ ორი ნიღბიანი მამაკაცი თავს დაესხა.

მარეხ ფერაძის თქმით, მან სცადა ერთ-ერთი თავდამსხმელისთვის ნიღაბი ჩამოეხსნა, თუმცა ვერ მოახერხა. დაზარალებულის მეუღლის განცხადებით, თავდამსხმელები, სავარაუდოდ, 25-30 წლის ასაკის პირები იყვნენ.

– ჩამოვდიოდით სახლიდან და უცებ ორი პირი დაგვესხა თავს. არ ვიცი, ვინ არიან. შურისძიება გამორიცხულია. ვცდილობდი, ერთ-ერთი მათგანისთვის ნიღაბი ჩამომეხსნა, მაგრამ გაქცევა მოახერხა. დაახლოებით 25-30 წლის პირები იყვნენ. შურისძიებას გამოვრიცხავ. ვერსიები არ გვაქვს, – განაცხადა მარეხ ფერაძემ.

მისი ინფორმაციით, გელა ხვედელიძეს გაუკეთდება ორი ოპერაცია – ყბა-სახის მოტეხილობასა და თვალზე.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შსს-მ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით 177-ე მუხლით დაიწყო, რაც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, ამჟამად საგამოძიებო მოქმედებები აქტიურად მიმდინარეობს და საქმეზე დამატებითი დეტალები საზოგადოებას მოგვიანებით ეცნობება.

ინტერპრესნიუსი

„კრემლის ძირგამომთხრელი მუშაობის სამიზნე საქართველოც გახდა“

უესლი კლარკი: „პუტინი ევროკავშირის დაშლას არჩევნებში ჩარევით ცდილობს“

მარიამ მჭედლიშვილი

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ევროპაში თავის ერთ-ერთ მთავარ პლაცდარმს რუსეთი სერბეთში მოაწყობს.

2 აპრილს სერბეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულმა ალექსანდრე ვუჩიჩმა განაცხადა, რომ სერბეთი გააგრძელებს გზას ევროპისკენ, მაგრამ ამასთან, შეინარჩუნებს მეგობრობას მოსკოვთან და პეკინთან.

მისი განცხადება მოულოდნელი არ ყოფილა. დასავლური მედია არჩევნებამდე იუწყებოდა, რომ სერბეთის პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი თავის საარჩევნო კამპანიას აწყობდა რუსეთისადმი კეთილგანწყობისა და პუტინთან კარგი ურთიერთობების საფუძველზე. სერბეთი ევროპის ნაწილია. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყანაში ძლიერია რელიგიური და კულტურული კავშირები რუსეთთან.

ამ სიტუაციაში რუსეთს არ უნდა დასჭირვებოდა ჩარევა სერბეთის არჩევნებში. არის ვარაუდი, რომ რუსეთმა გავლენა მოახდინა ცოტა ხნის წინ ჩატარებულ ბულგარეთის პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების შედეგებზე. ევროპელი ექსპერტები პროგნოზირებენ, რომ რუსეთის გავლენით ბულგარეთის ხელისუფლება, პროდასავლური განაცხადების მიუხედავად, ნაკლებად ორიენტირებული იქნება ევროპაზე და მეტად – რუსეთზე.

სხვა ქვეყნებში განხორციელებულ უკანონო ქმედებებში, მათ შორის, კიბერშეტევებში, რუსეთს ბევრი სახელმწიფო ადანაშაულებს. აშშ-ში გრძელდება გამოძიება და იმის გარკვევა, ერეოდა თუ არა მოსკოვი აშშ-ის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში.

– მოსკოვმა ახლახან გააფართოვა ამგვარი სახის საქმიანობა საფრანგეთის, გერმანიისა და ნიდერლანდის მიმართ, – წერს ლოს ანჟელეს თაიმსი.

გამოცემის ინფორმაციით, კრემლი ერეოდა უკრაინის არჩევნებში 2004-დან 2014 წლებში, რუსეთმა დააზიანა უკრაინის ცესკოს სერვერები. კრემლის პოლიტიკური ძირგამომთხრელი მუშაობის სამიზნედ იქცნენ უნგრეთი, საქართველო და ბალტიის ქვეყნები.

მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნები საფრანგეთში და ბუნდესტაგის არჩევნები გერმანიაში. არის საფრთხე, რომ რუსეთი ამ არჩევნებში ევროკავშირის შენარჩუნების მომხრეების – ემანუელ მაკრონისა და ანგელა მერკელის წინააღმდეგ იმუშავებს.

გერმანიის ფედერალური კანცლერის უწყებამ დაავალა გერმანიის სპეცსამსახურებს, გამოიკვლიონ რუსეთის აქტიურობა ამ მიმართულებით. ამის ერთ-ერთი საბაბი გახდა რუსეთის ჰაკერების კიბერშეტევები გერმანიის პარლამენტზე 2015 წლის გაზაფხულზე და 2016 წლის იანვარში.

აშშ-ის არმიის გადამდგარი გენერალი უესლი კლარკი დარწმუნებულია, რომ ასეთი მეთოდებით რუსეთი ევროკავშირის დაშლას ცდილობს:

– რუსეთი ცდილობს მოშალოს ევროკავშირის ერთიანობა, სტაბილურობა და სიმტკიცე. ის ამას აკეთებს არჩევნებზე ზემოქმედებით და იმ კანდიდატების წამოწევით, რომლებიც არ იბრძვიან ევროპული კონტინენტის ერთიანობის, ადამიანის უფლებების, თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის.

უესლი კლარკის სიტყვებით, კრემლის სტრატეგიული მიზანია რუსეთს დაუბრუნოს გლობალური გავლენა და საბჭოთა კავშირის ძალაუფლება, მაგრამ ის ამაზე არ გაჩერდება.

რუსეთი აგრძელებს ძალის გამოყენებას სირიასა და უკრაინაში. მის ნაბიჯებს ამ კუთხით ბოლო დროს სულ უფრო მკაცრად აკრიტიკებს ვაშინგტონი.

ცოტა ხნის წინ ვრცელდებოდა მოსაზრებები, რომ აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაცია რუსეთის მოკავშირესა და სირიის ლიდერ ასადს არ დაუპირისპირდებოდა.

გაეროში აშშ-ის მუდმივი წარმომადგენელი ნიკი ჰეილი აცხადებს, რომ აშშ აგრძელებს მუშაობას რუსეთთან და ირანთან იმ მიზნით, რომ მათ მოახდინონ ზეწოლა სირიის ხელისუფლებაზე. რუსეთსა და ირანს უნდა ესმოდეთ, რამდენად საშიშია ბაშარ ასადი.

ამ ფონზე ექსპერტები აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობების უფრო დაძაბვას მოელიან.

გახლომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

აგროდაზღვევა გაიაფდა – პროგრამა 10 აპრილიდან განახლდება

„კომერსანტისთვის“ აგროდაზღვევის პროგრამის შესახებ დამატებითი დეტალები ხდება ცნობილი.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს „აგროდაზღვევის პროგრამის“ მენეჯერი ლევან მაღრაძე „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, რომ სადაზღვევო კომპანიებსა და სააგენტოს შორის ხელშეკრულებები კვირის ბოლომდე გაფორმდება, 10 აპრილიდან კი პროგრამა სრულად ამოქმედდება.



კითხვაზე, რამდენი სადაზღვევო კომპანია მიიღებს წელს განახლებულ პროგრამაში მონაწილეობას, მაღრაძე განმარტავს, რომ ამ დროისთვის სადაზღვევო კომპანიებთან მოლაპარაკების პროცესი მიმდინარეობს. ამ ეტაპზე პროგრამაში ჩართვით 4 სადაზღვევო კომპანიაა (ალდაგი, ჯიპიაი ჰოლდინგი, არდი და აისი ჯგუფი) დაინტერესებული.

მაღრაძის განცხადებით, გასული წლისგან განსხვავებით, ფიქსირებული იქნება მინიმალური და მაქსიმალური სადაზღვევო სატარიფო გეგმა. როგორც მაღრაძე აცხადებს, წელს აგროდაზღვევის ტარიფები გაიაფდა.

– გაიაფებას როდესაც ვამბობ, ვგულისხმობ იმას, რომ გასულ წელს იყო მინიმალური და მაქსიმალური სადაზღვევო ტარიფი. ანუ, მაგალითად, სადაზღვევო ლიმიტის მინიმუმი 8 პროცენტი, ხოლო მაქსიმალური 12 პროცენტი. წელს იქნება ფიქსირებული 8 პროცენტის ტოლი.

თუ ადამიანი 1 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე ელოდება 10.000 ლარის მოსავალს, წელს, გაიაფებული ტარიფებით, ამ თანხის 8 პროცენტი, ანუ ფერმერს მთლიან ნაკვეთში 800 ლარი ექნება გადასახდელი. აქედან 50-70 პროცენტს ჩვენ გადავიხდით, – აცხადებს მაღრაძე.

მისი განმარტებით, ასევე სიახლეა ის, რომ სააგენტოსა და სადაზღვევო კომპანიას შორის ინფორმაციის გაცვლა სრულად ელექტრონიზებულია, რაც ნიშნავს იმას, რომ სააგენტოს მონიტორინგი უფრო ეფექტური იქნება როგორც ზიანის ანაზღაურების, ისე სადაზღვევო პოლისების გაცემის მიმართულებით.

2016 წლის დეკემბერში ლევან მაღრაძე „კომერსანტთან“ განმარტავდა, რომ აგროდაზღვევის ახალი პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო სადაზღვევო კომპანიების შემფასებელი ექსპერტების გადამზადებაც. დღეს მაღრაძე აცხადებს, რომ ამ მხრივ დიდი სამუშაო ჩატარდა. კერძოდ, წელს უკვე დაინერგა ზიანის შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც საჯაროა ბენეფიციარისთვისაც. შედეგად, ყველას ეცოდინება, რა მეთოდებით შეაფასა ექსპერტმა ზიანი.

მაღრაძე აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია აგროდაზღვევის რეკლამირების საკითხიც, მიმდინარე წელს იგეგმება სატელევიზიო რეკლამირებაც. ასევე საინფორმაციო ბუკლეტების გაცემა. მისი თქმით, სამწუხაროა ის, რომ დღეს მოსახლეობა სიგარეტში უფრო მეტ ფულს იხდის, ვიდრე დაზღვევაში.

* * *

აგროდაზღვევის ახალი პროგრამისთვის, ბიუჯეტიდან წელს 7 მილიონი ლარი გამოიყოფა. აგროდაზღვევის პროგრამაში მიმდინარე წლიდან თანამონაწილეობა სახელმწიფოს მხრიდან ყველა კულტურაზე 70% იქნება, ხოლო ვაზზე – 50%.

აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია არაუმეტეს 5 ჰა (ხორბლის მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში არაუმეტეს 30 ჰა) ფართობის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ასევე ნებისმიერ ბენეფიციარს, რომელიც ფლობს, მაგალითად, 30 ჰექტარს ან 100 ჰექტარს, შეუძლიათ 5 ჰექტარი მიწის ნაკვეთის დაზღვევისას მიიღონ სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსება.

გასული წლისგან განსხვავებით, წელს შემცირდა მოცდის პერიოდი და სადაზღვევო პოლისის გაცემის თარიღიდან 4 დღის ვადით განისაზღვრა.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა 2014 წელს დაიწყო და უკვე 3 წელია მიმდინარეობს. პროექტის მიზანი აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების (სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა) შემცირებაა.

2014-2016 წლებში აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში: გაცემულია 47.485 პოლისი, დაზღვეული ფართობი შეადგენს 39.138 ჰა, ჯამში დაიზღვა 326.842.630 ლარის მოსავალი. ფერმერების მიერ დაზღვევის მომსახურებაში გადასახდელი თანხიდან სახელმწიფომ 22,051,912 ლარის სუბსიდირება მოახდინა.

2 წლის განმავლობაში ანაზღაურებულმა ზარალმა 19 მილიონ ლარამდე შეადგინა.

კომერსანტი

საქართველოში ყველის და რძის ქარხნის მშენებლობა იგეგმება

2018 წელს კომპანია „ბლაუენშტაინ საქართველო“ ყველის და რძის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობას გეგმავს.

კომპანია რაჭაში ფერმების ქსელს 2015 წლის ივნისიდან ფლობს. როგორც კომპანიის მენეჯერი თათია არაბიძე „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, ქარხანა რაჭაში, ამბროლაურის რაიონის სოფელ შარდომეთში აშენდება და მასში დაახლოებით 1,5 მილიონი დოლარი იქნება რეინვესტირებული.

კომპანიას საკუთრებაში აქვს რამდენიმე მიწის ნაკვეთი, საიდანაც აღნიშნული პროექტისთვის ერთ-ერთი შეირჩევა. წარმოება დაიწყება მას შემდეგ, რაც პროექტისთვის სპეციალურად მსხვილფეხა საქონლის იმ ჯიშს გამოიყვანენ, რომელიც დიდი რაოდენობით რძეს იძლევა.

– მომავალ წელს დავიწყებთ ქარხნის მშენებლობას, მოვიძიებთ თანამედროვე სტანდარტების მანქანა-დანადგარებს და როდესაც საქონლის რაოდენობა მოგვცემს საშუალებას, წარმოებას მაშინ დავიწყებთ. აღნიშნული პროექტისთვის ახალი ჯიშის საქონელი გამოგვყავს, რომლისგანაც ბევრად მეტი რძის მიღება იქნება შესაძლებელი, – აცხადებს არაბიძე.

რაჭაში პროექტის დაწყება და მის ფარგლებში ფერმების ქსელის შექმნა „ბლაუენშტაინ საქართველოს“ დირექტორმა როსტომ კერვალიშვილმა 2016 წლის აპრილში დააანონსა. მაშინ კერვალიშვილი აცხადებდა, რომ რაჭაში მცხოვრებ მოსახლეობას, ვისაც აქვს დასაქმების სურვილი, კომპანია ამის საშუალებას მისცემდა.

– ფერმერებს, ვისაც აქვს 60 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ან საკუთრებაში ან იჯარით, შეუძლიათ მოგვმართონ, ჩვენ მათ ბანკიდან სესხის აღებაში დავეხმარებით. ამ სესხით ეს მეწარმეები ფერმებს ააშენებენ, სადაც „ბლაუენშტაინ საქართველოს“ მიერ ჩამოყვანილ პირუტყვს გაზრდიან. ამაში ჩვენ მათ ხელფასს გადავუხდით. საქონელი კი ჩვენი საკუთრება იქნება, – აცხადებდა კერვალიშვილი.

კომპანია „ბლაუენშტაინ საქართველო“ 2009 წელს ქართულ-შვეიცარული ინვესტიციით დაფუძნდა და რაჭაში, სოფელ შარდომეთში 18 მილიონი ლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელა.

კომერსანტი

მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემა 1 ივლისიდან ამოქმედდება

მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულათა სისტემა 1 ივლისიდან ამოქმედდება. ასევე, პირველი ივლისიდან შევა ძალაში ე.წ. უკონტაქტო პატრულირებასთან დაკავშირებული ინიციატივა.

აღნიშნულ თარიღზე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე შეთანხმდნენ, სადაც შს სამინისტროს მიერ მომზადებული პაკეტი მეორე მოსმენით, მუხლობრივად განიხილეს.

როგორც მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილმა განმარტა, პირველ ივლისამდე დარჩენილი პერიოდი გამოყენებული იქნება საინფორმაციო კამპანიისთვის. მისი თქმით, საინფორმაციო კამპანია პრევენციის ნაწილს წარმოადგენს. პარლამენტში წარდგენილი პროექტით, ქულათა სისტემა მიენიჭება როგორც საქართველოში გაცემულ მართვის მოწმობას, ასევე უცხო ქვეყანაში გაცემულ მართვის მოწმობასაც.

განხილვის პროცესში ცვლილება განიცადა ქულათა სისტემამ – რიგი საგზაო დარღვევების შემთხვევაში ჩამოსაკლები ქულის ოდენობა გაიზარდა, ზოგ დარღვევაზე კი შემცირდა.

მაგალითად, ღვედის გამოუყენებლობაზე თავდაპირველად შეთავაზებული იყო მართვის მოწმობისთვის 10 ქულის ჩამოკლება, რაც 5 ქულამდე შემცირდა. ავტომობილის მართვისას მობილურის გამოყენებაზე 15 ქულა 10 ქულამდე შემცირდა.

პროექტის განხილვისას გამოითქვა მოსაზრება წითელზე გავლის შემთხვევებზე განსაზღვრული ქულის შემცირების თაობაზე, რაც შს სამინისტროს წარმომადგენელმა არ გითვალისწინა. ასეთ შემთხვევაზე განსაზღვრული იყო 10 ქულის ჩამოკლება, რაც 15 ქულა გახდება.

კანონპროექტის თავდაპირველ ვარიანტში ჩასწორდა ის, რომ პარკირების წესების დარღვევაზე, როდესაც არ იქნება საავარიო მდგომარეობა ან საცობი, მძღოლს მართვის მოწმობაზე ქულა არ ჩამოაკლდება.

ქულების განულების შემთხვევაში, მართვის მოწმობის მფლობელს მართვის უფლება 1 წლით შეუჩერდება და მის დასაბრუნებლად გამოცდის გავლა მოუწევს.

ამასთან, პროექტით მძღოლს ეს უფლება წელიწადში ერთხელ ექნება.

საკანონმდებლო პაკეტიდან ამოღებულია ინიციატივა მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტისა და რეგისტრაციის აკრძალვის შესახებ, რაც პროექტის თავდაპირველი ვარიანტით იყო გათვალისწინებული.

ცხოველის ფეკალიებით ქალაქის დაბინძურებისთვის ჯარიმა 50 ლარი იქნება

2 კილოგრამამდე საყოფაცხოვრებო ნარჩენის დაყრისთვის მოქალაქეები 80 ლარით დაჯარიმდებიან, ორ კილოგრამზე ზევით კი ჯარიმა 150 ლარს შეადგენს.

ამის შესახებ „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორის პირველმა მოადგილემ დავით დოლიძემ განაცხადა.

დედაქალაქის ქუჩებში „თბილსერვის ჯგუფის“ ზედამხედველობის სამსახურის ქვეითი ინსპექტორები გამოჩნდებიან, რომლებიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საყოფაცხოვრებო თუ სხვა სახის ნარჩენის დაყრისთვის დააჯარიმებენ.

2 კილოგრამამდე საყოფაცხოვრებო ნარჩენის კატეგორიაში შედის სიგარეტის ნამწვიც. შინაური ცხოველის ფეკალიებით ქალაქის დაბინძურებისთვის პატრონი 50 ლარით დაჯარიმდება. ერთ კუბამდე სამშენებლო ნარჩენით დაბინძურების შემთხვევაში ფიზიკური პირისთვის 200-ლარიანი, იურიდიული პირისთვის კი 500-ლარიანი ჯარიმა არის განსაზღვრული.

ერთ კუბზე ზევით სამშენებლო ნარჩენით ქალაქის დაბინძურების შემთხვევაში, ფიზიკური პირი 500 ლარით, იურიდიული პირი კი 1.500 ლარით დაჯარიმდება. დარღვევის განმეორებისას ჯარიმები ორმაგდება.

– ინსპექტორები პირველ ეტაპზე ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ტურისტულ ზონებში, პარკებში, სკვერებში, საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში იმოძრავებენ, სადაც დანაგვიანების შემთხვევები ხშირია.

ინსპექტორების დანიშნულება ქვეითი მოძრაობაა, ისინი მანქანით არ გადაადგილდებიან. მოქალაქის მიერ მანქანიდან ნარჩენის გადაგდების შემთხვევაში, ჩვენ ფაქტს დავაფიქსირებთ და შესაბამის უწყებებს გადავცემთ, ეს არის საპატრულო პოლიცია და ა.შ. ვინც შესაბამის რეაგირებას მოახდენს, – განმარტა დავით დოლიძემ.

2 კვირის განმავლობაში ინსპექტორები მოქალაქეებს გააფრთხილებენ, რომ ნარჩენები არ დატოვონ. ისინი სპეცსამოსით იმოძრავებენ და სამხრე კამერებითა და ფოტოაპარატებით აღჭურვილები იქნებიან.

ბიბიენი

მარტში ტურისტების რაოდენობა 28.6%-ით გაიზარდა

2017 წლის მარტის მონაცემებით, საქართველოს 511.045 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 13,1%-ით – 59.308-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, მარტის მაჩვენებლებით იმ უცხოელი ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში, 219.642 შეადგინა, რაც 28,6%-ით, 48.807-ით მეტია 2016 წლის მარტის მაჩვენებლებზე.

2017 წლის მარტში ყველაზე მეტი ვიზიტი აზერბაიჯანიდან (+11.1%), სომხეთიდან (+11.2%), თურქეთიდან (-17.1%), რუსეთიდან (+16.5%) და ირანიდან (+194.8%) განხორციელდა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, მარტში გამოირჩნენ პოლონეთი +39%, საფრანგეთი +38%, გერმანია +19%, საბერძნეთი +18% და ლიტვა +17%.

განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა ირანიდან +195%, ინდოეთიდან +182%, ეგვიპტიდან +119%, უზბეკეთიდან +97% და ისრაელიდან +93%.

ყაჩაღობა სამეგრელოში — ბოროტმოქმედები მოქალაქეს სასტიკად გაუსწორდნენ

ყაჩაღობა მოხდა 4 აპრილს, გვიან ღამით ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში. რამდენიმე ადამიანი თავს ჯანსუღ ჯიშკარიანის ოჯახს დაესხა. როგორც „ნიუპოსტის“ რეგიონალურ კორესპონდენტს ჯიშკარიანის ოჯახის წევრებმა უთხრეს, ოჯახს დაახლოებით 5 ნიღბიანი დაესხა თავს და შუახნის მამაკაცს სასტიკად სცემეს.

ბოროტმოქმედები ჯიშკარიანებისგან იმ თანხას ითხოვდნენ, რომელიც მათი ინფორმაციით ოჯახმა მიწის ნაკვეთის გაყიდვის შედეგად მიიღო.

მას შემდეგ კი, რაც ჯანსუღ ჯიშკარიანმა მათ გადახდის ქვითარი წარუდგინა, საიდანაც დასტურდებოდა, რომ თანხა შვილის ანგარიშზე ჩარიცხა, თავდამსხმელები მამაკაცს ფიზიკურად გაუსწორდნენ. საბოლოოდ ოჯახმა ბოროტმოქმედებს 300 ლარი მისცა.

ჯანსუღ ჯიშკარიანი ქუთაისში ექსპერტიზაზე გადაიყვანეს.

როგორც „ნიუპოსტს“ უწყებაში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით დაიწყო, რაც ყაჩაღობას გულისხმობს. მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო ღონისძიებები.

ნიუპოსტი

ავარია ოზურგეთში — არიან დაშავებულები

ოზურგეთში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად რამდენიმე ადამიანია დაშავებული. მათგან ოთხი „მედალფას“ კლინიკაშია გადაყვანილი, მცირეწლოვანი ბავშვი კი, მძიმე მდგომარეობით ქუთაისში გადაიყვანეს.

შემთხვევა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის გზაზე მოხდა.

მსუბუქი ავტომობილი სამგზავრო მიკროავტობუსს დაეჯახა. დაშავებულები სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა:

– ავარიის დროს დაშავებული ოთხი ადამიანი იმყოფება ჩვენთან. აქედან ერთს გუშინ სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. დანარჩენებს ქირურგიული ჩარევა არ დასჭირდათ. დაშავებულების მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. ავარიის დროს დაშავდა ერთი მცირეწლოვანი, ის გუშინვე გადაიყვანეს ქუთაისში, – აცხადებს „მედალფას“ დირექტორი, დავით მდინარაძე.

ნიუპოსტი

ავტომობილით 3 წლამდე ბავშვის გადაყვანაზე ახალი წესი ამოქმედდება

მსუბუქი ავტომობილით სამ წლამდე ასაკის ბავშვის გადაყვანა ნებადართული იქნება უკანა სავარძელზე მჯდომი არანაკლებ 16 წლის მგზავრის კალთაში. ასეთ შემთხვევაში მგზავრი ვალდებული იქნება, უსაფრთხოების ღვედი გამოიყენოს.

მცირეწლოვანი ბავშვის გადაყვანასთან დაკავშირებით უსაფრთხოების ზომების გამკაცრების საკითხი საგზაო მოძრაობის შესახებ კანონში დაგეგმილი ცვლილებების განხილვისას დადგა. არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნა იყო, რომ კანონში გაწერილიყო ვალდებულება საბავშვო-სამგზავრო სავარძლის გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

როგორც აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით შს მინისტრის მოადგილემ შალვა ხუციშვილმა განაცხადა, ეს ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და მოქალაქეებს ფინანსურ ტვირთად დაეკისრებათ. მისი თქმით, კანონი დაუშვებს შესაძლებლობას, რომ 3 წლამდე ასაკის ბავშვის მსუბუქი ავტომობილით გადაყვანა მოხდეს უკანა სავარძელზე, მისი კალთაში მოთავსების შემთხვევაში და ასეთ დროში მგზავრი ვალდებული იქნება, გამოიყენოს უსაფრთხოების ღვედი. მისივე განცხადებით, საბავშვო სავარძელი იქნება ალტერნატიული საშუა

პროკურატურამ თურქეთის ორი მოქალაქე დააკავა

საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა ჯგუფურად ჩადენილი თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე თურქეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე – აბდულკადირ დემირაი და ზაზა ჩეთინი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს მთავარი პროკურატურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ აბდულკადირ დემირაიმ და ზაზა ჩეთინმა, უცხო ქვეყნის მოქალაქეების დიდი ოდენობით ფულადი თანხების მოტყუებით დაუფლება და შემდგომში ამ თანხებისთვის კანონიერი სახის მიცემა განიზრახეს.

– ამ მიზნით, ა. დემირაიმ და ზ. ჩეთინმა საქართველოს ერთ-ერთ კომერციულ ბანკში გახსნეს საბანკო ანგარიში, 2016 წლის 16 და 18 ნოემბერს, ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებულ კომპანია „მარი ნჯოროგს“ მოტყუებით გადმოარიცხინეს 90.397 აშშ დოლარი და გადმორიცხული თანხა იმავე დღეს გამოიტანეს საბანკო ანგარიშიდან.

აღნიშნულის შემდგომ, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულადი თანხების წარმოშობის წყაროს, მისი ნამდვილი ბუნების, განთავსებისა და რეალური მესაკუთრის შენიღბვის მიზნით, ა. დემირაიმ და ზ. ჩეთინმა ფულადი თანხა განათავსეს სხვა საბანკო დაწესებულებაში გახსნილ ანგარიშზე და გადარიცხეს თურქეთის რესპუბლიკაში.

ამ ქმედებით, ერთი მხრივ, კანონიერი სახე მისცეს დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ დიდი ოდენობით ფულად თანხებს, ხოლო მეორე მხრივ, შენიღბეს მისი წარმომავლობა და რეალური მესაკუთრე.

შედეგად, ზ. ჩეთინმა და ა. დემირაიმ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული 90.397 აშშ დოლარის ლეგალიზება მოახდინეს, – აცხადებენ პროკურატურაში.

აბდულკადირ დემირაისა და ზაზა ჩეთინს ბრალდება წარედგინათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ დაპატიმრება.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება გამოძიება. წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან თორმეტ წლამდე ვადით.

ინტერპრესნიუსი

ყადაღა „ცენტრ პოინტის“ 41 ქონებას მოეხსნა

„ცენტრ პოინტის“ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების თანახმად, ყადაღა კომპანიის კუთვნილ 41 ქონებას მოეხსნა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლების – მაია რჩეულიშვილისა და რუსუდან კერვალიშვილის ადვოკატმა, მარიამ ცუცქირიძემ განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ყადაღის მოხსნის თაობაზე ჩანაწერი მოსამართლე გიორგი ებანოიძის განჩენის სარეზოლუციო ნაწილშია, თუმცა, ადვოკატის თქმით, ყადაღის მოხსნის გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოქმედდება, თუკი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არც ერთი მხარის მიერ არ გასაჩივრდება.

– ყადაღა მოეხსნა 41 ქონებას, მათ შორის მიწის ნაკვეთებსა და ბინებს, მაგრამ ყადაღის მოხსნაზე გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა პირველ მაისს, იმ შემთხვევაში, თუკი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას არც ერთი მხარე არ გასაჩივრებს ანუ გასაჩივრების ერთთვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ.

ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც გავასაჩივრებთ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს, თუ, რა თქმა უნდა, მხარეებს შორის არ შედგა საპროცესო შეთანხმება, – განაცხადა მარიამ ცუცქირიძემ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლები მაია რჩეულიშვილი და რუსუდან კერვალიშვილი 31 მარტს თაღლითობისა და მენაშენეთა კუთვნილი თანხების მითვისებაში დამნაშავედ ცნო და 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. საქმე რამდენიმე ობიექტს, მათ შორის სააკაძის მოედანზე, კრწანისში და წყნეთის ობიექტებს ეხება.

იმავე დღეს პროკურატურამ ყველა დაზარალებულისთვის ზარალის ანაზღაურების პირობით, მაია რჩეულიშვილსა და რუსუდან კერვალიშვილს საპროცესო შეთანხმების გაფორმება შესთავაზა.

ინტერპრესნიუსი

ნინო დარასელი: „საპროცესო შეთანხმებას დავთანხმდებით“

რუსუდან კერვალიშვილის ოჯახი თანახმაა, ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ კერვალიშვილის შვილმა ნინო დარასელმა განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, საპროცესო შეთანხმება ერთადერთი სწორი გამოსავალია ამ საქმიდან.

– რა თქმა უნდა, თანახმა ვართ საპროცესო შეთანხმებაზე. მიმაჩნია, რომ ეს ერთადერთი სწორი გამოსავალია, რომელიც დიდი ხნის წინ შეიძლებოდა დამდგარიყო, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

შესაბამისად, ყველა გონიერ შეთავაზებაზე, მოლაპარაკებების წარმოებაზე თანახმა ვართ. პირობების შეთანხმება მოლაპარაკებების საფუძველზე უნდა მოხდეს და უნდა იყოს ისეთი, რომ ყველა იყოს კმაყოფილი, როგორც დაზარალებულები, ისე ჩვენ. ამ შემთხვევაში ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი შედეგი იქნება თავისუფლებაზე ყოფნა, – განაცხადა ნინო დარასელმა.

მისი განმარტებით, აქამდე პროკურატურის მხრიდან საპროცესო შეთანხმების ისეთი პირობები იქნა შეთავაზებული, რომლებიც პრაქტიკულად შეუსრულებელი იყო.

– შემოთავაზებული იყო ასეთი პირობა: თქვენ დაასრულეთ ობიექტები და ჩვენ მერე მოვხსნით ყადაღასო. როგორ უნდა დაგვესრულებინა ან რის ხარჯზე, თუკი ყადაღა არ იქნებოდა მოხსნილი?! – განაცხადა დარასელმა.

ინტერპრესნიუსი

დავით დვალი: „თუ ვინმეს ჰგონია, რომ სტრასბურამდე ვერ მივალთ, ძალიან ცდებით“

– თუ ვინმეს ჰგონია, რომ სტრასბურამდე ჩვენ ვერ მივალთ, ძალიან ცდებით, – ამის შესახებ „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, დავით დვალმა, ჯარჯი აქიმიძესთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როგორც „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლები აცხადებენ, 5 წელია საქმე პროკურატურაშია და დღის სინათლე ჯერ კიდევ არ უნახავს.

დავით დვალის განცხადებით, მისი და ჯარჯი აქიმიძის ადვოკატი პროკურატურაში იყო და მას გამომძიებლის სახელიც არ უთხრეს.

– ჩვენი ადვოკატი წინა კვირას მისული იყო პროკურატურაში, სადაც გამომძიებლის სახელიც კი არ უთხრეს, იმდენად ჩახვეულია ეს ამბავი, – განაცხადა დავით დვალმა.

პრესკონფერენციაზე ჯარჯი აქიმიძემ იმ დარღვევებზე ისაუბრა, რაც „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლების მიმართ განხორციელდა.

– პროკურატურაში უკვე 5 წელია ეს საქმე დევს და აქამდე დღის სინათლე ვერ ნახა. აქედან გამომდინარე, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ საიტი გამოვიყენოთ ისევ ამ საქმისთვის. ჩვენ მიმართ დარღვეულია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლი – იძულება; 181-ე მუხლი – გამოძალვა, 333-ე მუხლი – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება; საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 21-ე – საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია, მუხლი 24-ე – ყველა ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი მე-10 – გამოხატვის თავისუფლება, მუხლი მე-13 – უფლება ეფექტურ ზომაზე, ოქმი 1-ელი, მუხლი 1-ელი – საკუთრების დაცვა. ეს არის ყველა ის მუხლი, რომელიც ჩვენ მიმართ არის დარღვეული. ჩვენ ყველა სამართლებრივი პირობა გვაქვს, ვიდავოთ ამ ყველაფერზე არა მარტო საქართველოში, არამედ უკვე ევროპაში, – განაცხადა ჯარჯი აქიმიძემ.

ინტერპრესნიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

თბილისში 2 მამაკაცი დაჭრეს

გუშინ, 3 აპრილს, დიდუბეში, ბაგრატიონის ქუჩაზე ორი მამაკაცი ცივი იარაღით დაჭრეს. სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ორივე მათგანი ქირურგიის ეროვნულ ცენტრში გადაიყვანა. ორივე დაშავებული სახლში გაწერეს.

როგორც „ნიუპოსტს“ შს სამინისტროში განუცხადეს, ამ ეტაპზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით მიმდინარეობს, რომელიც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

ნიუპოსტი

სომხეთში სარგსიანის პარტიამ გაიმარჯვა

სომხეთის რესპუბლიკაში საპარლამენტო არჩევნები დასრულდა.

მმართველი პარტია „სომხეთის რესპუბლიკური მოძრაობა“ დამაჯერებლად ლიდერობს. მან ხმების 49% მოაგროვა. უმთავრესი ოპოზიციური ძალა – ცარუკიანის პარტია 25%-ით მეორეზეა. მათ გარდა, პარლამენტში ხვდებიან ბლოკი „ელკი“ (7,59%) და პარტია დაშნაკცუტუნი (6,64%).

„რესპუბლიკური მოძრაობის“ ლიდერი სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანია. სწორედ მისი აქტიური ძალისხმევის შედეგად სომხეთი ევრაზიული კავშირის წევრი გახდა. რესპუბლიკური პარტიის პროგრამაში ნათქვამია, რომ სომხეთისთვის რუსეთთან სავაჭრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების განვითარება პრიორიტეტულია.

– რუსეთი ჩვენთვის უმთავრესი ბაზარია. მეტიც, რუსეთი ჩვენი უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია, – აცხადებს სარგსიანი.

სარგსიანის პარტიის უმთავრეს კონკურენტს ცარუკიანის პარტია წარმოადგენდა. მისი ლიდერი ცნობილი სომეხი ბიზნესმენი გაგიკ ცარუკიანია. მიმომხილველები მოელოდნენ, რომ არჩევნებზე მმართველი ძალა და ცარუკიანის პარტია დაახლოებით ერთი და იმავე რაოდენობის ხმებს მიიღებდნენ. პროგნოზი არ გამართლდა. მმართველმა პარტიამ დამაჯერებლად გაიმარჯვა.

დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ არჩევნები ძალიან ცუდად იყო ორგანიზებული. საარჩევნო უბნებთან უზარმაზარი რიგები იდგა. ბევრმა მოქალაქემ ხმის მიცემა ვერ შეძლო. ხმის მიცემის დროსაც უამრავ დარღვევას ჰქონდა ადგილი.

არჩევნების საბოლოო მონაცემები მალე გამოცხადდება, თუმცა უკვე შეიძლება ითქვას, რომ სომხეთის მმართველმა ძალამ პოზიციები შეინარჩუნა. შესაბამისად შენარჩუნდება ევრაზიულ კავშირსა და რუსეთთან დაახლოების კურსიც.

სანკტ-პეტერბურგის მეტროში აფეთქება მოხდა – დაღუპულია 10 ადამიანი, დაშავდა 50

სანკტ-პეტერბურგის მეტროპოლიტენის ერთ-ერთ სადგურზე, სენაია პლოშადზე, აფეთქება მოხდა.

რუსი სამართალდამცველების ინფორმაციით, აფეთქების მიზეზი ვაგონში დაუდგენელი მოწყობილობის ამოქმედება იყო.

მეტროსადგურიდან ხალხის ევაკუაცია განხორციელდა.

როგორც ადგილობრივი მედია წერს, სულ მცირე 10 ადამიანია დაღუპული. დაშავებულთა რაოდენობა კი 50-მდე აღწევს.

ინციდენტის გამო სანკტ-პეტერბურგის მეტროპოლიტენის 7 სადგური დაიხურა.

რუსეთის პრეზიდენტმა ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მომხდარის რამდენიმე ვერსია განიხილება, მათ შორის კრიმინალური ვერსიებიც, თუმცა, პუტინის აზრით, საქმე ტერაქტთან გვაქვს.

– მე უკვე ვესაუბრე სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს და მივეცი დავალება, რომ ეს საქმე სწრაფად გამოიძიონ. ვფიქრობ, ეს ტერაქტი იყო, თუმცა დანამდვილებით ამაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ დაზარალებულებს სათანადო დახმარება აღმოვუჩინოთ, – განაცხადა ვლადიმირ პუტინმა.

რუსეთი: საპროტესტო აქცია თუ ხელისუფლების პროვოკაცია?

ის, რომ 2 აპრილს რუსეთის ქალაქებში საპროტესო აქციები მზადდებოდა, არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა. სოციალური ქსელებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2 აპრილს სისხლიანი კვირა მოეწყობოდა, რითაც პუტინის რეჟიმის დასასრული დაიწყებოდა.

რუსეთის დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერმა ნავალნიმ მოსახლეობას მოუწოდა, რომ 2 აპრილს აქციაზე არ გამოსულიყვნენ.

– ჩვენ არავითარ აქციებს არ ვაწყობთ. ვინ აწყობს, არ ვიცი. შესაძლოა, ეს ხელისუფლების პროვოკაციაა, – განაცხადა ნავალნიმ.

მიუხედავად ამისა, 2 აპრილს მოსკოვში ხალხი წითელ მოედანზე, მანეჟნაიაზე თუ სხვაგან მაინც გავიდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ხელისუფლებამ აქცია დაარბია. მოსკოვში 29 ადამიანია დაკავებული. მსგავსი რამ რუსეთის სხვა ქალაქებშიც მოხდა. სულ 2 აპრილს აქციებისას დაკავებულია 59 მოქალაქე.

– არ გამოვრიცხავ, რომ 2 აპრილის აქცია ხელისუფლების პროვოკაცია იყოს, – განაცხადა მიხეილ ხოდორკოვსკიმ.

ეგვიპტის პრეზიდენტი ვაშინგტონში ჩავიდა

ვაშინგტონში ეგვიპტის პრეზიდენტი, გენერალი სისი ჩავიდა. ის პრეზიდენტ ტრამპს შეხვდება.

სავარაუდოდ, სისი და ტრამპი ხელს მოაწერენ ისლამური ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ შეთანხმებას.

ანალიტიკოსები სისის ვიზიტის წარმატებაში დარწმუნებულნი არიან. ისინი თვლიან, რომ აშშ-სა და ეგვიპტეს საერთო ინტერესები აერთიანებს, ამიტომაც ისლამური ტერორიზმის წინააღმდეგ ისინი ერთად იმოქმედებენ.

ტრამპი: „ჩრდილოეთ კორეას მარტონიც მოვუვლით“

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული საფრთხის პრობლემაზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ჩინეთის დახმარების იმედი აქვს.

ტრამპმა აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ კორეა საფრთხეს წარმოადგენს და თუ ჩინეთი აშშ-ს არ დაეხმარება, მაშინ ამერიკა თვითონ მოაგვარებს ამ პრობლემას.

– აუცილებელია, რომ ჩრდილოეთ კორეასთან გარკვეული ზომები მივიღოთ. კონკრეტულად არაფრის თქმა არ მინდა, მაგრამ ამ საქმეში ჩინეთის იმედი მაქვს. ყველასთვის კარგი იქნება თუ ისინი დახმარების ხელს გამოგვიწვდიან. ჩინეთს ჩრდილოეთ კორეაზე დიდი გავლენა აქვს, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

საპრეზიდენტო არჩევნები სერბეთში

სერბეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა.

ლიდერობს მოქმედი პრემიერი ვუჩიჩი. მან ხმების 56% მოაგროვა. მისმა უმთავრესმა კონკურენტმა იანკოვიჩმა კი – 14%.

ვუჩიჩი ევროინტეგრაციის მომხრეა, თუმცა რუსეთთან მჭიდრო კავშირებსაც უჭერს მხარს.

– რუსეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, – აცხადებს ვუჩიჩი.

ეკვადორში საპროტესტო აქციებია

ეკვადორის საპრეზიდენტო არჩევნებში ფრიად კომიკური პერსონაჟი ლიდერობს. მას სახელად ლენინი ჰქვია, გვარად კი მორეროა.

ის აქამდე ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ, ახლა კი პრეზიდენტობაზე აცხადებს პრეტენზიას. თანახმად უკანასკნელი მონაცემებისა, არჩევნებში მან 51% დააგროვა.

ეკვადორის მოსახლეობაც ქუჩებში გამოვიდა.

საპროტესტო აქციები მთელს ქვეყანაში მიმდინარეობს. მანიფესტანტები აცხადებენ, რომ არჩევნები გაყალბდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაიარევებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 280 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09, 295-40-58 ჯემალი.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

დინამომ ჩემპიონს მოუგო, ჩიხურამ ლიდერობის შანსი დაკარგა

სამტრედია-დინამო (თბ) 0:2

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

0:1 მიქელთაძე (40), 0:2 ლობჟანიძე (75)

სამტრედია: მიგინეიშვილი, სუხომლინოვი (მჭედლიშვილი 46), სანდოხაძე, გოგიაშვილი, ახალაძე, დათუნაიშვილი, კასრაძე (ჯიქია 58), მარკოზაშვილი, რაჟამაშვილი, ჩაგელიშვილი, სამუშია (ბერიაშვილი 68)

დინამო: ლიტოვჩენკო, თოთაძე, გველესიანი, ლოჩოშილი, მიშენკო (საღლუქვაძე 89), ქარდავა, ზარია, მიქელთაძე, ლობჟანიძე, ჩაკვეტაძე (პაპუნაშვილი 68), არაბული (კუცია 84)

სამტრედიაში ეროვნული ლიგის მეოთხე ტურის შეხვედრა გაიმართა, რომელშიც სამტრედიამ დედაქალაქურ დინამოს უმასპინძლა და 3 ქულაც გაატანა.

პირველი სახიფათო მომენტი მატჩის მე-5 წუთზე მასპინძლებმა შექმნეს – დავით ჩაგელიშვილმა ძლიერად დაარტყა, ბურთს სერგეი ლიტოვჩენკო ადგილზე დახვდა. საპასუხოდ ბექა მიქელთაძე ამწვავებდა შეტევას, მაგრამ მისი ჩაწოდებული არაზუსტი აღმოჩნდა. მომდევნო შეტევაში კი მასპინძლები გაშვებული გოლისგან მეკარემ იხსნა – საბა ლობჟანიძე ტექნიკური დარტყმით სამტრედიის კარში გზავნიდა ბურთს. მე-14 წუთზე კიდევ ერთხელ გადარჩა სამტრედიის კარი. მიქელთაძის ზუსტ ჩაწოდებულს ლობჟანიძე აგვირგვინებდა, მაგრამ მის დარტყმულს სიძლიერე დააკლდა და მიგინეიშვილმა განმუხტა სიტუაცია.

ნახევარი საათი იყო გასული თამაშის დაწყებიდან, როდესაც ლობჟანიძის ჩამოწოდებულ კუთხურს ბაჩანა არაბულმა შეაგება თავი, მისი დარტყმული უზუსტო გამოდგა. 39-ე წუთზე თეიმურაზ მარკოზაშვილი დინამოს კიპერის პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ვერ აჯობა ლიტოვჩენკოს, ერთ წუთში კი სტუმართა შეტევა შედეგიანად დაგვირგვინდა. ბოგდან მიშენკოს მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებული ბურთი ლაშა თოთაძემ კარში ვერ დაარტყა, მაგრამ პასი გამოუვიდა ბექა მიქელთაძეზე, რომელმაც ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში – 0:1 და პირველი ტაიმი ესეც დასრულდა.

მეორე ნახევრის პირველი სახიფათო მომენტი ისევ მასპინძლებმა შექმნეს. 62-ე წუთზე გიორგი მჭედლიშვილმა საჯარიმოს კუთხიდან დაარტყა, ბურთი კი დინამოელთა კარის ხარიხამ მოიგერია. 69-ე წუთზე კი, თბილისელთა კარი ხიფათისგან სერგეი ლიტოვჩენკომ იხსნა – დინამოელთა მეკარემ გიორგი დათუნაიშვილის დარტყმული საჯარიმო კუთხურზე მოიგერია.

72-ე წუთზე დედაქალაქელებმა კარის აღების რეალური შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. კონტრშეტევაზე მოთამაშე ბაჩანა არაბულმა ერთი ერთზე გაიყვანა საბა ლობჟანიძე, მისი დარტყმული კი აცდა სამტრედიის კარს. 3 წუთში დინამომ მეორე გოლი მაინც გაუტანა სამტრედიას: შეცვლაზე შემოსულმა გიორგი პაპუნაშვილმა თითქმის მოედნის ცენტრიდან საჯარიმო ჩააწოდა, ბურთს საბა ლობჟანიძე გამოეხმაურა და ორამდე გაზარდა დედაქალაქელთა უპირატესობა.

საბოლოოდ დინამოელებმა 2:0 აჯობეს მასპინძლებს.

ჩიხურა-დინამო (ბთ) 0:1

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

0:1 თევდორაძე (59)

ჩიხურა: ჰამზიჩი, გაბედავა, კორიფაძე (გეგეჭკორი 72), კაკუბავა, ივანიშვილი (სარდალიშვილი 61), ჩიკვაიძე, დობროვოლსკი, ჭელიძე, კაშია, გორგიაშვილი, გელაშვილი (ტატანაშვილი 72)

დინამო: ტიმოფეევი, ფარტენაძე, გოგიტიძე, ქავთარაძე (გორელიშვილი 79), თევდორაძე (შონია 60), სუხიაშვილი, კვირკველია, ფონიავა (ფლამარიონი 72), თარხნიშვილი, კენედი, კვასოვი

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის წამყვანი კლუბების მატჩში საჩხერის ჩიხურა შინ 0:1 დამარცხდა ბათუმის დინამოსთან. ორივე გუნდი საქართველოს ევროთასებზე წარადგენს, ამიტომაც ეს ერთგვარი რეპეტიციაც იყო.

გამარჯვების გოლი 59-ე წუთზე ვალერიან თევდორაძემ გაიტანა, რომელიც ორივე გუნდის მხრიდან ერთ-ერთი საუკეთესო იყო. საბოლოოდ თევდორაძის პირველმა გოლმა მიმდინარე სეზონში ჩიხურას პირველი მარცხი განაპირობა.

სოსო ფრუიძის გუნდმა მე-4 ტურის შემდეგ ლიდერობა დაკარგა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო ბათუმის დინამო 6 ქულით მე-6 საფეხურს იკავებს.

სატუნინო ცხრილი:

1.საბურთალო	4	3	0	1	4-4	9
2.ჩიხურა	4	2	1	1	4-2	7
3.ლოკომოტივი	4	2	1	1	5-4	7
4.კოლხეთი	4	2	0	2	8-5	6
5.დინამო (თბ)	4	2	0	2	4-3	6
6.დინამო (ბთ)	4	2	0	2	3-3	6
7.ტორპედო	4	1	2	1	4-4	5
8.დილა	4	1	1	2	2-3	4
9.სამტრედია	4	1	1	2	2-4	4
10.შუქურა	4	0	2	2	5-9	2

ფაჩულიას მოგება, ბურჯანაძის გმირობა

საკალათბურთო ლეგიონის ამბები

გოლდენ სტეიტ უორიორსმა ვაშინგტონ უიზარდსზე შური იძია – ამ გუნდთან წინა შეხვედრა, რომელიც 28 თებერვალს ვაშინგტონში გაიმართა, ოკლენდელებმა წააგეს, თანაც კვინ დიურანტი დაუშავდათ და დღემდე მკურნალობს. ახლა უკვე ვაშინგტონელები ესტუმრნენ ოკლენდს, სადაც გოლდენ სტეიტმა მათ გამანადგურებელი მარცხი აგება – 139:115.

უიზარდსის ძლევით ოკლენდელებმა ზედიზედ მე-11 გამარჯვება მოიპოვეს, რითაც კიდევ უფრო მიუახლოვდნენ რეგულარული ჩემპიონატის მოგებას. ვაშინგტონთან მატჩი არ ყოფილა მასპინძელთათვის რთული. გოლდენ სტეიტმა მეთოდურად მოიგო ყველა პერიოდი და საბოლოო ჯამში უპირატესობამ 24 ქულა შეადგინა.

ცენტრები შეხვედრაში ნაკლებად დატვირთული იყვნენ. ორივე გუნდის სასტარტო მეფარეს შედარებით ნაკლები სათამაშო დრო დაეთმო. ზაზა ფაჩულიამ მოედანზე 14 წუთი დაჰყო, ხოლო ვაშინგტონელთა პოლონელმა ცენტრმა, მარცინ გორტატმა 16 წუთი ითამაშა. ქართველმა ცენტრმა 5-დან 3 ორქულიანი და 2-დან 2 მოხსნა ჩააგდო, ხოლო ჯამში მოგროვებულ 8 ქულას 5 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიამატა. გორტატმაც 5-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, 2 საჯარიმოდან კი მხოლოდ 1 მოათავსა კალათში. 7 ქულასთან ერთად პოლონელმა ცენტრმა 3 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა.

63 მოგებითა და 14 წაგებით გოლდენსტეიტელები დასავლეთ კონფერენციისა და მთლიანად ლიგის მწვერვალზე მყარად არიან. მომდევნო მატჩს ოკლენდელები შინაურ არენაზე მინესოტასთან გამართავენ.

ესპანეთის უმაღლეს ლიგაში გიორგი შერმადინის დაბადების დღეს ბექა ბურჯანაძის ბენეფისი შედგა. ქართველი ლეგიონერების მორაბანკ ანდორა მორიგი ტურის მატჩში შინ ესტუდიანტესს დაუხვდა და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა – 87:83.

მატჩის გმირი ბექა ბურჯანაძე გახდა – 22 წლის ქართველი ფორვარდისთვის ესტუდიანტესთან ჩატარებული მატჩი მიმდინარე სეზონში საუკეთესო იყო. ბექამ შეხვედრის ბოლო პერიოდში 16 ქულა ჩააგდო და ანდორელთა გამარჯვება პირადად განსაზღვრა.

ჩვენებური ამჯერად სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 31 წუთში 20 ქულა, 5 მოხსნა (3 შეტევაში), 1 პასი, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა. ქართველმა ფორვარდმა 7-დან 4 ორქულიანი, 4-დან 3 სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 23-ს გაუტოლდა, რაც ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ.

გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა ანდორელთა კიდევ ერთმა ლიდერმა გიორგი შერმადინმა, რომელსაც ბოლომდე მოედანზე ყოფნა არ დასცალდა და თამაშს 5 პერსონალური ფოლის მიღების მერე გამოეთიშა. მოედანზე გატარებულ 20 წუთში მან 14 ქულა, 4 მოხსნა და 1 ჩაჭრა მოაგროვა. ქართველმა ცენტრმა 10-დან 6 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო გამოიყენა.

მორაბანკ ანდორამ 13 მოგება და 12 მარცხი დააგროვა, რითაც პლეი ოფში გამსვლელი ბოლო, მე-8 ადგილი გაიმყარა. ანდორელები მომდევნო მატჩს შინ, ერთ-ერთ ლიდერ ტენერიფესთან გამართავენ.

მოიგო თორნიკე შენგელიას ბასკონიამაც – ვიტორიელებმა ბეტისს უმასპინძლეს და დაძაბულ ბრძოლაში – 79:75 დაამარცხეს.

ქართველი ლეგიონერი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 22 წუთში ორმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა. შენგელიამ 3-დან 2 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო გამოიყენა და 9 ქულას 8 მოხსნა (2 შეტევაში), 3 პასი და 1 ჩაჭრა წაამატა.

18 მოგებითა და 7 მარცხით ბასკონია ცხრილში მე-3-4 ადგილებს იყოფს მადრიდის რეალთან, რომელსაც მომდევნო ტურში ესტუმრება.

შედეგები

Ე ᲐᲞᲘᲠᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲞᲘᲠᲛᲘᲔᲠᲘᲚᲘ�გᲐ

სუონსი-მიდლსბრო	0:0
არსენალი-სიტი	2:2

ᲡᲐᲢᲣᲜᲘᲡᲘᲗ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.ჩელსი	29	22	3	4	60-23	69
2.ტოტენჰემი	29	18	8	3	57-21	62
3.ლივერპული	30	17	8	5	64-37	59
4.სიტი	29	17	7	5	56-32	58
5.მანჩესტერი	28	14	11	3	42-23	53
6.არსენალი	28	15	6	7	58-36	51
7.ევერტონი	30	14	8	8	52-33	50
8.ვესტ ბრომვიჩი	30	12	8	10	39-38	44
9.სტოკი	30	9	9	12	33-44	36
10.საუთჰემპტონი	28	9	7	12	33-36	34
11.ბორნმუთი	30	9	7	14	42-54	34
12.უოტფორდი	29	9	7	13	34-48	34
13.ლესტერი	29	9	6	14	35-47	33
14.ვესტ ჰემი	30	9	6	15	41-54	33
15.ბარნლი	30	9	5	16	31-44	32
16.კრ.პალასი	29	9	4	16	38-47	31
17.სუონსი	30	8	4	18	36-63	28
18.ჰალი	30	7	6	17	28-59	27
19.მიდლსბრო	29	4	11	14	20-33	23
20.სანდერლენდი	29	5	5	19	24-51	20

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ. ᲰᲘᲛᲔᲘᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

სევილია-ხიხონი	0:0
რეალი-ალავესი	3:0
ვალენსია-დეპორტივო	3:0
გრანადა-ბარსელონა	1:4

ᲡᲐᲢᲣᲜᲘᲡᲘᲗ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.რეალი	28	21	5	2	74-28	68
2.ბარსელონა	29	20	6	3	85-26	66
3.ატლეტიკო	29	17	7	5	54-23	58
4.სევილია	29	17	7	5	52-34	58
5.სოსიედადი	29	15	4	10	43-40	49
6.ვილიარეალი	29	13	9	7	41-23	48
7.ბილბაო	29	14	5	10	37-33	47
8.ეიბარი	29	12	8	9	47-41	44
9.ესპანიოლი	29	11	10	8	42-40	43
10.ალავესი	29	10	10	9	29-36	40
11.სელტა	27	11	5	11	40-45	38
12.ლას პალმასი	28	9	8	11	44-45	35
13.ვალენსია	29	9	6	14	41-51	33
14.ბეტისი	29	8	7	14	32-46	31
15.მალაგა	29	6	9	14	33-47	27
16.დეპორტივო	29	6	9	14	31-46	27
17.ლეგანესი	29	6	9	14	23-42	27
18.ხიხონი	29	5	7	17	31-57	22
19.გრანადა	29	4	7	18	26-62	19
20.ოსასუნა	29	1	8	20	29-69	11

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ. ᲡᲔᲒᲣᲜᲓᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ხიმნასტიკი-ალმერია	0:1
ლუგო-რეუსი	1:0
კორდობა-ელჩე	1:0
ტენერიფე-ოვიედო	1:0
სარაგოსა-ვალიადოლიდი	1:1

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲐ

ინგოლშტადი-მაინცი	2:1
ლევერკუზენი-ვოლფსბურგი	3:3

ᲡᲐᲢᲣᲜᲘᲡᲘᲗ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.ბაიერნი	26	20	5	1	67-13	65
2.ლაიპციგი	26	16	4	6	47-28	52
3.ჰოფენჰაიმი	26	12	12	2	49-26	48
4.დორტმუნდი	26	13	8	5	55-28	47
5.ჰერტა	26	12	4	10	35-33	40
6.კიოლნი	26	9	10	7	38-31	37
7.აინტრახტი	26	10	7	9	26-27	37
8.ფრაიბურგი	26	10	5	11	34-47	35
9.შალკე	26	9	7	10	33-28	34
10.გლადბახი	26	9	6	11	30-34	33
11.ლევერკუზენი	26	9	5	12	40-43	32
12.ვერდერი	26	9	5	12	39-46	32
13.ვოლფსბურგი	26	8	6	12	26-37	30
14.ჰამბურგი	26	8	6	12	26-47	30
15.მაინცი	26	8	5	13	34-43	29
16.აუგსბურგი	26	7	8	11	24-40	29
17.ინგოლშტადტი	26	6	4	16	25-43	22
18.დარმშტადტი	26	4	3	19	17-51	15

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲛᲔ-2 ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲗᲐ

შტუტგარტი-დინამო	3:3
კაიზერი-ბრაუნშვაიგი	0:1
ჰაიდენჰაიმი-ფიურტი	0:2

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ა

ტორინო-უდინეზე	2:2
ჯენოა-ატალანტა	0:5
ფიორენტინა-ბოლონია	1:0
პალერმო-კალიარი	1:3
კიევო-კროტონე	1:2
პესკარა-მილანი	1:1
ნაპოლი-იუვენტუსი	1:1

ᲡᲐᲢᲣᲜᲘᲡᲘᲗ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.იუვენტუსი	30	24	2	4	60-20	74
2.რომა	30	22	2	6	66-26	68
3.ნაპოლი	30	19	7	4	69-33	64
4.ლაციო	30	18	6	6	52-31	60
5.ატალანტა	30	18	4	8	51-33	58
6.ინტერი	29	17	4	8	55-31	55
7.მილანი	30	16	6	8	43-33	54
8.ფიორენტინა	30	14	9	7	47-37	51
9.სამპდორია	29	11	8	10	35-34	41
10.ტორინო	30	10	11	9	56-50	41
11.კიევო	30	11	5	14	35-43	38
12.უდინეზე	30	10	7	13	38-40	37
13.კალიარი	30	10	5	15	39-59	35
14.ბოლონია	30	9	7	14	29-43	34
15.სასუოლო	30	9	4	17	37-48	31
16.ჯენოა	30	7	8	15	30-48	29
17.ემპოლი	30	5	7	18	17-48	22
18.კროტონე	30	4	5	21	23-50	17
19.პალერმო	30	3	6	21	25-63	15
20.პესკარა	30	2	7	21	30-67	13

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. 1 ᲚᲘ�გᲐ

რენი-ლიონი	1:1
ლორიანი-კაენი	1:0
მონპელიე-ტულუზა	0:1
ნანტი-ანჟე	2:1
ნიცა-ბორდო	2:1

ᲡᲐᲢᲣᲜᲘᲡᲘᲗ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.მონაკო	30	22	5	3	87-26	71
2.პსჟ	30	21	5	4	60-21	68
3.ნიცა	31	19	10	2	50-25	67
4.ლიონი	30	16	3	11	61-35	51
5.მარსელი	31	13	8	10	44-38	47
6.ბორდო	31	12	10	9	43-39	46
7.სტ.ეტიენი	30	11	11	8	34-24	44
8.გენგამი	31	11	8	12	38-39	41
9.ნანტი	31	11	8	12	30-45	41
10.ტულუზა	31	10	10	11	33-33	40
11.რენი	31	9	13	9	29-34	40
12.ანჟე	31	11	6	14	32-40	39
13.ლილი	31	10	7	14	30-37	37
14.მეცი	29	9	8	12	29-53	35
15.მონპელიე	31	8	9	14	43-55	33
16.კაენი	31	9	5	17	31-52	32
17.დიჟონი	31	6	11	14	39-48	29
18.ნანსი	31	7	7	17	21-41	28
19.ლორიანი	31	8	4	19	33-61	28
20.ბასტია	31	5	10	16	24-45	25

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ. ᲔᲠᲔᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ვიტესი-ნაიმეგენი	2:1
დენ ჰააგი-როდა	4:1
აიაქსი-ფეინოორდი	2:1
ტვენტე-იგლზი	1:2

ᲰᲝᲩᲘᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ. ᲰᲘᲛᲔᲘᲠᲐ ᲚᲘ�გᲐ

ბელენენსეში-რეიფენშე	1:2
სეტუბალი-მორეირენშე	2:0
არუოკა-სპორტინგი	1:2
ბრაგა-მარიტიმუ	3:3

ᲰᲣᲡᲔᲗᲘ. ᲰᲘᲛᲔᲘᲠᲘᲚᲘᲗᲐ

ამკარი-ტერეკი	1:1
რუბინი-ზენიტი	0:2
ცსკა-კრილია	2:1

ᲛᲝᲢᲪᲠᲔᲚᲘᲐ. ᲰᲘᲛᲔᲘᲠᲘᲚᲘᲗᲐ

ჰართსი-სელტიკი	0:5

ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐ. ᲡᲣᲞᲔᲠᲘᲚᲘᲗᲐ

ლუცერნი-ლუგანო	0:2
იანგ ბოიზი-ვადუცი	3:2
ლოზანა-გრასჰოპერსი	0:0

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ. ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲗᲐ

ალტახი-ზალცბურგი	0:5

ᲑᲔᲚ�გᲘᲐ. 1 ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ (ᲩᲠ)

გენტი-ბრიუგე	2:1

ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ (ᲔᲚ)

ლიერსი-სტანდარდი	1:0

ᲓᲐᲜᲘᲐ. ᲡᲣᲞᲔᲠᲘᲚᲘᲗᲐ

პანიონიოსი-ატრომიტოსი	2:1
კერკირა-ირაკლისი	0:3
პანეთოლიკოსი-ასტრასი	1:1
პაოკი-ლარისა	2:0
აეკი-პანათინაიკოსი	2:3

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲠᲘᲚᲘᲗᲐ

რიზე-ტრაბზონი	0:1
ოსმანლი-გაზიანთები	0:2
ბეშიქთაში-გენჩლერი	3:0
ქონია-ბურსა	2:0

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ. ᲡᲘᲜᲝᲢ ᲚᲘᲒᲐ

სლავია-სპარტა	1:1

ᲰᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ. ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲯᲚᲐᲡ

იაგელონია-ნეცეჩა	1:0
ლეხია-ზაგლებიე	1:0

ᲣᲔᲚᲡᲘᲜᲐ. ᲰᲘᲛᲔᲘᲠᲘᲚᲘᲗᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲤᲘ

ოლეკსანდრია-დინამო	1:4
ზორია-შახტარი	1:2

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲣᲢᲘ

კარპატი-სტალი	2:0

ᲓᲐᲜᲘᲐ. ᲡᲣᲞᲔᲠᲘᲚᲘᲗᲐ

ესბიერგი-რანდერსი	0:0
ვიბორგი-ორხუსი	2:4

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ. ᲐᲘᲡᲕᲔᲜᲘᲐ

აიკი-ჰაკენი	0:0
სუნდსვალდი-ეკილსტუნა	3:1
ნორჩიოპინგი-ჰამარბი	2:1

ᲜᲝᲩᲕᲔᲗᲘ. ᲔᲘᲩᲡᲢᲐᲓᲘᲐ

ლილესტრიომი-სანდერფიორდი	2:1
სარპსბორგი-სონგდალი	3:1
სტაბეკი-ალესუნდი	3:1
სტრომგოდსეტი-ჰაუგესუნდი	3:1
ტრომსო-ბრანი	1:1
რუსენბორგი-ოდ გრელანდი	3:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

როგორ გავისწოროთ კბილები უხილავი ელაინერებით

ეკა ირემაშვილი

მედიცინა ყოველდღიურად ვითარდება, ამიტომაც ბრეკეტ-სისტემების მწარმოებლები ყოველდღიურად მუშაობენ, რათა დახვეწონ ბრეკეტები, თუმცა მათი ტარება მაინც ბევრ პაციენტს აკარგვინებს ორთოდონტული მკურნალობის სურვილს.

არსებობს თუ არა კბილების გასწორების მეთოდი ბრეკეტების გარეშე და როგორ გავისწოროთ კბილები უხილავი ელაინერებით ანუ კაპებით, ამ თემაზე ექიმი-ორთოდონტი ანნა მეტრეველი გვესაუბრება.

ანნა მეტრეველი

ანნა მეტრეველი:

– გარეგნულად ელაინერები ცოტათი წაგავს იმ კაპებს, რომლებსაც სტომატოლოგები უნიშნავენ კბილების სახლის პირობებში გათეთრების ან ბრუქსიზმის დროს. ისინი ყველა პაციენტისთვის მზადდება ინდივიდუალურად სატექნიკო ლაბორატორიაში ან სპეციალურ ქარხნებში. ესთეტიკურობის და გამჭირვალობის მხრივ ყველაზე ესთეტიკური ბრეკეტებიც კი ვერ შეედრება კაპებს.

აღსანიშნავია ელაინერების ერთ-ერთი დიდი პლუსი ჰიგიენა. თუკი ბრეკეტების ტარების დროს ჯაგრისის და კბილის პასტის გარდა აუცილებელია დამატებითი ჰიგიენური საშუალებები – ფლოსი, ირიგატორი, კბილთაშუა ჯაგრისი. კაპების შემთხვევაში ყველაფერი გაცილებით მარტივია, იხსნით და იხეხავთ კბილებს.

– რა ნიუანსებია გასათვალისწინებელი ელაინერებით მკურნალობისას?

– ელაინერებით მკურნალობას აქვს გარკვეული ნიუანსები. ბრეკეტებით მკურნალობისგან განსხვავებით, ელაინერები არის მოსახსნელი. პაციენტი ხმარობს 24 საათი, მცირე შუალედებით ჭამის და ჰიგიენის დროს. გარკვეული დროის შემდეგ კაპები იცვლება, ხოლო საბოლოო კაპებით ხდება მიღებული შედეგის შენარჩუნება. მკურნალობა პათოლოგიის სირთულიდან გამომდინარე შესაძლოა გაგრძელდეს, როგორც ბრეკეტების დროს 9 თვიდან 2 წლამდე.

აღნიშვნის ღირსია ექიმთა ვიზიტების რაოდენობის შემცირება, რიგ შემთხვევებში ორთოდონტი წინასწარ ამზადებს კაპებს და რამდენიმე თვის სამკურნალო ელაინერებით ამარაგებს პაციენტს. პაციენტს ეძლევა მკურნალობის გეგმა და ამის მიხედვით იცვლის კაპებს.

– ვისთვის შეიძლება ელაინერებით მკურნალობა?

– ელაინერებით მკურნალობა ტარდება მოზრდილ და მოზარდ ასაკში, როდესაც მოხდა სარძევე კბილების შეცვლა მუდმივით და დასრულდა ყბების ზრდის პროცესი.

– ელაინერები რაიმე განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებენ?

– გამჭვირვალე ელაინერები არ საჭიროებენ განსაკუთრებულ მოვლას: საკმარისია ჯაგრისით გაწმენდა და წყალში გავლება. კაპების ტარების დროს არ არის შეზღუდვა საკვებზე, როგორც ბრეკეტების დროს. გამონაკლისს წარმოადგენს საღეჭი რეზინი, რომელიც ეწებება ელაინერებს. ექიმთან ვიზიტი საჭიროა 1-2 თვეში ერთჯერ.

– რა უკუჩვენებები აქვს ელაინერებით მკურნალობას?

– ელაინერები ადვილად უმკლავდებიან კბილთაშუა სივრცეებს, ასწორებენ მცირედ გამოხატულ მჭიდრო დგომას, თანკბილვის მსუბუქ დარღვევებს. ელაინერები ასევე შესაძლოა გამოვიყენოთ, როდესაც საჭიროა ერთეული კბილების გადაადგილება, ან ბრეკეტებით მკურნალობის დასასრულებლად და მიღებული შედეგის დასაფიქსირებლად.

იმისათვის, რომ გაიგოთ რამდენად შესაძლებელია თქვენს შემთხვევაში ელაინერებით მკურნალობა, აუცილებელია გაიაროთ კონსულტაცია სპეციალისტთან და ჩაიტაროთ სრული დიაგნოსტიკა. დათვალიერების დროს ექიმი-ორთოდონტი გადაწყვეტს, შეძლებს თქვენი პრობლემის გადაჭრას ელაინერებით თუ ვერა.

რევიშვილი დინამოში დაბრუნდა

საქართველოს ნაკრების მეკარე ნუკრი რევიშვილი თბილისის დინამოს დაუბრუნდა – კონტრაქტი 1+1 სისტემით გაფორმდა. რევიშვილი 29-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

ნუკრი რევიშვილი გარდამავალ ჩემპიონატში დინამოელთა შემადგენლობაში იყო, ხოლო სეზონის დასრულების შემდეგ ჯერ კვიპროსის ვარიანტი ჩაეშალა, შემდეგ კი მოლდოვურ დაჩიას მიაშურა, მაგრამ ქართველ მეკარესა და მოლდოვურ კლუბს შორის თანამშრომლობა საბოლოოდ არ შედგა და რევიშვილი დინამოში თავისუფალი აგენტის სტატუსით დაბრუნდა.

რევიშვილს კარიერის საკმაოდ დიდი ნაწილი საზღვარგარეთ აქვს გატარებული. რევიშვილი რუსეთში რუბინის, ანჟის, კრასნოდარის, ტოსნოსა და მორდოვიას ღირსებას იცავდა. ასევე გამოდიოდა მალტურ ვალეტაში. საქართველოში კი ქუთაისის ტორპედოსა და დილაში უთამაშია.

ფუტსალის ნაკრები მეინ რაუნდისთვის ემზადება

საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა წარმატებით დაძლია ევროპის 2018 წლის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი და ახლა მეინ რაუნდის მატჩებისთვის მზადება დაიწყო.

საქართველოს ეროვნული ნაკრები მეინ რაუნდის მატჩებს ჰოლანდიის, ბელორუსისა და იტალიის ნაკრებების წინააღმდეგ თბილისის ტურნირზე 8, 9 და 11 აპრილს გამართავს.

მატჩების განრიგი ასეთია:

8 აპრილი: იტალია-ბელორუსი; საქართველო-ჰოლანდია;

9 აპრილი: ჰოლანდია-იტალია; საქართველო-ბელორუსი;

11 აპრილი: ბელორუსი-ჰოლანდია; იტალია-საქართველო.

ავთანდილ ასათიანის გუნდის განაცხადში 17 ფეხბურთელია:

მეკარეები: ზვიად კუპატაძე (ტტგ იუგრა, რუსეთი), ჯაბა ჯამბურია (ტატიშვილი);

წინა ხაზი: შოთა ჭანუყვაძე, მურთაზ კაკაბაძე, ლევან კობაიძე, ზურაბ ლუკავა, დავით ბობოხიძე (ყველა ტატიშვილი), შოთა თოფურია, კახა მაისაია (ორივე სტუ-თელასი), ნიკოლოზ კურტანიძე (პსპ), გიორგი ნიშნიანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ირაკლი თოდუა, ვახო ჯვარაშვილი (ორივე გომელი, ბელორუსი), არჩილ სებისკვერაძე (ლიდსელმაში, ბელორუსი), რონინიო და სილვა (აელი, კვიპროსი).

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

თბილისის გრან პრი 3 ოქროს მედლით დავასრულეთ

ოლიმპიურ სასახლეში თბილისის გრან პრი ძიუდოში დასრულდა, სადაც წარმატებით იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა.

პირველ საშეჯიბრო დღეს მედლის მოპოვება 3 ძიუდოისტმა შეძლო – 60 კილოში ქართული ფინალი შედგა – ლუხუმ ჩხვიმიანმა ამირან პაპინაშვილს 2 ვაზარით მოუგო და ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

66 კილოში ლაშა გიუნაშვილმა მონღოლ ტუმურხულეგ დავაადორჟთან გაფრთხილებებით გაიმარჯვა და საქართველოს ნაკრებს მეორე ოქროს მედალი მოუტანა.

მეორე დღე საქართველოს ნაკრებისთვის წარუმატებელი გამოდგა და ირაკლი ცირეკიძის გუნდმა მედლის მოპოვება ვერ შეძლო. ტატამზე გასული 10 ქართველი ძიუდოისტისგან ყველაზე კარგი შთაბეჭდილება 17 წლის ტატო გრიგალაშვილმა დატოვა, რომელიც ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში ყაზახ შანსი სმაგულოვთან დამარცხდა.

ბოლო საშეჯიბრო დღეს ტატამზე 13 ქართველი ძიუდოისტი გავიდა და მედლისთვის 5 ძიუდოისტმა იჭიდავა. 90 კილოში უშანგი მარგიანმა ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრა ბრიტანელ მაქს სტიუარტთან ჩაატარა და ბოლო წამებზე ვაზარით მოუგო. ეს მარგიანისთვის გრან პრის ტურნირებზე მოპოვებული მე-4 მედალია.

100 კილოში ოთხივე ქართველი ძიუდოისტი ადრეულ ეტაპზევე დამარცხდა და მედლისთვის ბრძოლა ვეღარ შეძლო. ქართველმა მძიმეწონოსნებმა ბევრად უკეთ იასპარეზეს – გუგა კიბორძალიძემ და ლევან მატიაშვილმა ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში იჭიდავეს. მატიაშვილმა შეხვედრა გაფრთხილებებით მოიგო და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

ადამ ოქრუაშვილმა კი ფინალური დაპირისპირება უკრაინელ სტანისლავ ბონდარენკოსთან გამართა და მეტოქე ბოჭვაზე დაიჭირა და ჩემპიონი გახდა. ოქრუაშვილმა გრან პრის ტურნირებზე მე-4 ოქროს მედალი დაისაკუთრა.

საქართველოს ჩესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მიგვაღი მაგიდა თავისუფალი საქართველო, ჰელსინკის ჯგუფი – წმინდა იერა მართლის სახოგადოება" ულოცავს დაბადების დღეს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, ბატონ

ალექსანდრე ელენტს

და უსურვებს ყოველივე სიკეთეს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ასტროპროგნოზი

4 აპრილისათვის

ვერძი – ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შეგიძლიათ. კეთილისმყოფელი დღეა სულიერი სრულყოფისათვის. **კურო** – დაიტვირთეთ ფიზიკურად, დაკავდით სპორტით. ერიდეთ კამათს მეგობართან. **ტყუპები** – ეცადეთ, დაწყებული საქმე შუა გზაზე არ მიატოვოთ. გამორიცხული არ არის რომანტიკული შეხვედრა ან ვახშამი ახლობლების წრეში. **კირჩხიბი** – თავს მშვიდად და ენერგიულად გრძნობთ. ახალი ნაცნობობა ხალისს შეგმატებთ. **ლომი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ინტუიცია არ გიღალატებთ. ხელმძღვანელობასთან კამათს ერიდეთ. **ქალწული** – ნუ დაწვრილმანდებით. თუ გაწყენინეს, დიდსულოვნება გამოიჩინეთ და აპატიეთ. **სასწორი** – მეტი დრო დაუთმეთ პარტნიორულ ურთიერთობებს. კეთილსინდისიერება და პასუხისმგებლობა დღის დევიზია. **ღრიანკალი** – ფულს ნურც ისესხებთ და ნურც გაასესხებთ. საყიდლებზე წასვლა სამომავლოდ გადადეთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ავანტიურისტებს. ოპტიმიზმი პირად ცხოვრებაში შექმნილი კრიზისის დაძლევაში დაგეხმარებათ. **თხის რქა** – პროფესიონალურ სფეროში ან პირად ცხოვრებაში მოულოდნელად სიძნელეები შეგხვდებათ. ჩანაფიქრის განხორციელებაში მეგობრები დაიხმარეთ. **მერწყული** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ახლობლებს ნუ დაივიწყებთ. დაეხმარეთ მათ. **თევზები** – წინააღმდეგობრივი დღეა. შექმნილი ვითარება გეგმების შეცვლას გაიძულებთ. დღის მეორე ნახევარი მშვიდი და ჰარმონიული იქნება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქართული ტელეკომპანია; 2. რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოყენებული მეცნიერული ვარაუდი; 3. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 4. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 5. ფიცხი, ტემპერამენტიანი ადამიანი; 8. ქუჩის მუსიკოსის სახელწოდება საფრანგეთში; 12. კარატისტის ოსტატობის მაჩვენებელი თანრიგი; 13. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 14. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 16. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 18. დოკუმენტების, ცნობების კრებული ვინმეს ან რაიმეს შესახებ; 20. ნორვეგიის დედაქალაქი.

თარაზულად: 6. შნო, მოხერხება; 7. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 8. პოპულარული იაპონური ციფრული თავსატეხი; 9. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 10. მეცნიერების, ხელოვანთა მდიდარი მფარველი; 11. სასჯელი ქურდობისათვის ძველ ქართულ სამართალში; 15. საზაფხულო აგარაკების სახელწოდება ჰოლანდიაში; 17. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 19. ერთთვლიანი საცირკო ველოსიპედი; 21. ოპერა „აბესალომ და ეთერის" პერსონაჟი; 22. უნგრეთის დედაქალაქი; 23. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა.

გშეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. პანთერა; 6. მეგაფონი; 7. ნანდუ; 10. ნესვი; 11. რკალი; 13. ელიტა; 14. ფიჭვი; 16. ძირა; 17. ინდაური; 18. პრაიდი.

შვეულად: 1. პინა; 2. არე; 3. პერსონალი; 4. კოლტი; 5. ნიამორი; 8. ნეკი; 9. სიმინდი; 10. ნაკადული; 12. ტანძია; 13. ელადა; 15. ჭიუხი.

სკანვორდის პასუხები:

1. იო; 2. მარაო; 3. კარამელი; 4. ტრამალი; 5. რეტი; 6. არარატი; 7. ნაგლინი; 8. ნიკელი; 9. ავარა; 10. ძირულა; 11. ლამე; 12. ლაინსმენი; 13. იოლი; 14. ლა; 15. ზეფირი; 16. ეზოპე; 17. არს; 18. იარა; 19. ზოოლოგია; 20. ზამბია; 21. ციხისძირი; 22. ავრეხი; 23. ეივე; 24. არისა; 25. მირაბელი; 26. აი; 27. ბათუ; 28. მკითხავი; 29. ურიკა; 30. სკალპი.

სურათებზე: კაროლინა ფერასი; ვოიცეხ შჩესნი

სამგლოვიარო განცხადებები

მოუშუშებელი ტკივილი პართენ და რუსლან გულორდავების ხსოვნისადმი

დრო არ ყოფილა მკურნალი. ვერა და ვერ ვიშუშებთ გულზე იარას, თქვენი ტრაგიკული გარდაცვალებით რომ გაგვიჩნდა. მეოთხე წელი დამთავრდა. თქვენთვის მაისი აღარ მაისობს. უთქვენოდ აღარც ჩვენ გვახარებს გაზაფხულის მოსვლა ძველებურად. ამბობენ, სული უკვდავიაო... ალბათ, სამარადისო სასუფეველში ერთად ხართ, ჩვენო მონატრებულო კაჯო, ჯურსა, ჩემო ძმის შვილებო, დისშვილო ვალერი, ჩემო დაო მაყვალა და ძმაო ზაური. აი, ეს არის წუთისოფელი...

გივი გულორდავას ოჯახი

პირველი გალის ვარდნილჰესის კასკადის დირექცია მწუხარებით იუწყება

გოგი ჯობავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

უახლოესი ნათესაობა, მეგობრები და მეზობლები გულისტკივილით იუწყებიან სიკეთით სავსე, ოქრო გულის პიროვნების

გოგი ჯობავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

მეზობლების სახელით, ინდიკო, ბესიკ და თამაზ ბიბლაიები, გივი და ლონგურ ჩეხერიები, რევაზ ბასარია, ანატოლი დარსანია, გია ბერია, ჯახა ძველაია

გულისტკივილით იუწყებიან სიწმინდის, პატიოსნებისა და სამართლიანობის განსახიერების

გოგი ჯობავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის უახლოეს ნათესავებს.

იანა ვარდანია, რამინ, ვარდანია, რაჟდენ ქარდავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ სარედაქციო კოლეგიის წევრები თანაუგრძნობენ კოლეგიის წევრს, პროფესორ თეიმურაზ ბერიძეს ძვირფასი მამის

არჩილ ბერიძის

გარდაცვალების გამო.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ თეიმურაზ ბერიძეს გარდაეცვალა მამა

არჩილ ბერიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა სამძიმარს უცხადებს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ თეიმურაზ ბერიძეს მამის

არჩილ ბერიძის

გარდაცვალების გამო.

ოთარ კვესიტაძე, გია ციხისთავი, პეტრე ბერაია, დემურ გადელია, ვიტალი ხაზარაძე, საველ მარსაგიშვილი, გურამ გუნავა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრის ნოდარ გიორგაძის მამის

ქუჩუკი გიორგაძის

გარდაცვალების გამო.

ცინარა კუტალია, შორენა, ალეკო მელაძეები, ბესო, გიორგი როგავები თანაუგრძნობენ მწუხარებაში ელისო და ჯიმი თოლორაიებს დედის

ლეილა ლაშხია-თოლორაიას

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მაია ასათიანს „მარაო“ დაუხურეს

ჟურნალისტ მაია ასათიანს „მარაო“ დაუხურეს. ინფორმაცია ამის შესახებ მისმა დედამ, ნინო კალანდარიშვილმა, სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– ამ სივრცეში პირველად ვწერ. მე მაია ასათიანის დედა ვარ. 3 კვირის წინ, როცა ის სამსახურში დაბრუნდა, იმედი გამიჩნდა, რომ ცხოვრებისკენ მოტრიალებას შეძლებდა. ბოლო ერთი კვირაა მისი საყვარელი საქმის გადასარჩენად იბრძვის. ორი დღის წინ მისი „მარაო“ დახურეს! საქმე მისი ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენი იყო. ახლა ეს საყრდენიც გამოაცალეს.... ჩემი შვილის შემყურე სულ ამას ვეკითხები ჩემს თავს: კიდევ რამდენის გაძლებას შეძლებს.

ვანდალიზმი ქართულ ტაძარში

მიუხედავად იმისა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მაქსიმალურად მკაცრ მონიტორინგს აწარმოებს ქართული კულტურის ძეგლებზე, სამწუხაროდ, ვანდალური ფაქტები არცთუ ისე იშვიათია.

ტაძრებში მისული სტუმრები ხშირად საკუთარ ავტოგრაფებს, გვარსახელებს და სტუმრობის თარიღებს უნიკალურ ფრესკებზე აწერენ, რაც საუკუნეების წინ მოხატული ტაძრების ფრესკებს დიდ ზიანს აყენებს

ერთ-ერთი ასეთი ვანდალური ფაქტი გამოვლინდა მაღალაანთ ეკლესიის ფრესკებზე, რომელიც XII საუკუნეს მიეკუთვნება და კასპის მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

ვანდალიზმის ამსახველი ფოტოები ინტერნეტში ლიკა ფოცხიშვილმა გაავრცელა:

– ესეც ჩვენი უნიკალური ფრესკები, – ასე ასათაურებს ფოტოების ალბომს ინტერნეტ მომხმარებელი, სადაც ნათვლად ჩანს ქართველი ვიზიტორების დაუდევარი საქციელი:

– ია თედიაშვილი – მიწერილია ეკლესიის უნიკალურ ფრესკაზე.

ლიკა ფოცხიშვილი კი იას საქციელს ასე აფასებს:

– ია თედიაშვილი! შენ არ ხარ ჭკვიანი, შენ ხარ დებილი!! „მაღალაანთ“ ეკლესია, XVII საუკუნის მოხატულობა.

„მის და მისტერ თბილისი 2017“ გამოვლენილია

სილამაზის კონკურსი „მის და მისტერ თბილისი 2017“ სააგენტო ბუმ მოდელსმა ჩაატარა და კონკურსანტებს შორის ჟიურის საუკეთესოს დასახელება შესთავაზა. ბუმ მოდელსი უკვე 5 წელია ამ კონკურსს ატარებს და თბილისში მყოფ ლამაზ და სიმპათიურ გოგო-ბიჭებს კონკურსში მონაწილეობას სთავაზობს. როგორც კონკურსის ორგანიზატორებმა განაცხადეს, წელს დიდი კონკურსი არ იყო, ამიტომ მათ ფინალური შოუსთვის დატოვეს ის კონკურსანტები, ვინც ამ ტიტულის მოგებას ყველაზე მეტად იმსახურებდა.

წინამოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდეგ, კონკურსანტები ჟიურის წინაშე საცურაო კოსტიუმებში, კლასიკურ სტილში და სპორტულ სამოსში წარდგნენ. თითოეული მათგანი შეკრებილ საზოგადოებას და ჟიურის მსახიობმა ნინო მუმლაძემ წარუდგინა.

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც მომღერლები, ჟურნალისტები, მოდელები და ტელეწამყვანები შედიოდნენ, გამარჯვებულები გამოავლინა.

მის თბილისი 2017-ის ტიტული თეკლა გილაშვილს ერგო, მას გამარჯვების ნიშნად თავზე გვირგვინი დაადგეს, მისტერ თბილისი 2017 კი რომა რამაზაშვილი გახდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

ტორონტოში ასობით „აინშტაინმა“ მოიყარა თავი

კანადის ქალაქ ტორონტოში 400-ზე მეტი ადამიანი მოხვდა გინესის რეკორდების წიგნში, როგორც ყველაზე მრავალრიცხოვანი ადამიანების ჯგუფი, რომლებიც ალბერტ აინშტაინის სახით იყვნენ წარმოდგენილნი.

იმისთვის, რომ რეკორდი დაემყარებინათ, 404 ადამიანი, მათ შორის მრავალი მოსწავლე, გამოეწყო ცნობილი ფიზიკოსის სტილის ბლეიზერებსა და ჰალსტუხში. ბევრმა თავზე ჩამოიცვა თეთრი პარიკი და ულვაშები მიიწება, რომელიც მათ ღონისძიების ორგანიზატორმა The Next Einstein-მა დაურიგა.

გინესის წიგნის წარმომადგენლებმა მონაწილეები გადათვალეს და დაადასტურეს, რომ რეკორდი დამყარდა. ამის გაგონების შემდეგ მონაწილეებმა ზეიმი გამართეს და პარიკებს ცაში ისროდნენ.

კონკურსი The Next Einstein ახალგაზრდა გამომგონებლებს შორის 2013 წლიდან იმართება. მისი გამარჯვებული ჯილდოს სახით 10 ათას კანადურ დოლარს იღებს საკუთარი იდეის განსახორციელებლად.

90 წლის ბრიტანელმა სქესი შეიცვალა

დიდ ბრიტანეთში 90 წლის მეორე მსოფლიო ომის ვეტერანმა სქესი შეიცვალა. ამ ინფორმაციას დეილი ტელეგრაფი ავრცელებს.

რამდენიმე წლის წინ ლესტერშირის საგრაფოს მცხოვრებმა პიტერ დევისმა სახელად პატრიცია დაირქვა, გამოცვალა საბუთები და ჰორმონოთერაპიის ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო.

– ამის თაობაზე თანდათან დავიწყე საუბრები ჩემს მეზობლებთან, – განაცხადა დევისმა, – ყველა მპასუხობდა, თუ ეს ბედნიერებას მოგიტანს, მაგაზე არ ინერვიულოო.

ის ადრეული ბავშვობიდან გრძნობდა, რომ სხვა ბიჭებს არ ჰგავდა, მაგრამ ამის აღიარება არცთუ უსაფრთხო იქნებოდა.

– ხალხს არ ესმოდა, თუ რა არის ტრანსგენდერობა, პროფესიონალ მედიკოსებსაც კი, – განმარტავს დევისი, რომელსაც იმ დროს პატიმრობა და ელექტროშოკით მკურნალობა ემუქრებოდა.

1945 წელს 18 წლის პიტერი ჯარში გაიწვიეს. როდესაც გერმანიამ კაპიტულაციას მოაწერა ხელი, ის შორეულ აღმოსავლეთში გააგზავნეს, სადაც იაპონიასთან ომი მიმდინარეობდა, შემდეგ კი – ინდოეთში. შემდგომი სამი წელი ის პალესტინასა და აღმოსავლეთ აფრიკაში ბრიტანეთის კოლონიებში მსახურობდა.

ჯარიდან გათავისუფლების შემდეგ პიტერი ფოტოგრაფად მუშაობდა და ცოლიც შეირთო. მისი ქორწინება ბედნიერი გამოდგა და 63 წელი გრძელდებოდა. მან 60 წლის ასაკში ცოლს თავისი საიდუმლო გაუმხილა. მეუღლე გაგებით მოეკიდა ამ ამბავს და ცდილობდა, შეძლებისდაგვარად დახმარებოდა. ასე გრძელდებოდა მის გარდაცვალებამდე. შემდეგ კი პიტერმა სქესის შეცვლის საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პროგრამა

სამშაბათი
4 აპრილი

07.00 დოკ/ფ "ჯეიმის ამერიკული საგზაო თავგადასავალი" **08.00** კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "წიგნების თარო" **15.00, 02.30** "C სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 03.30** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ვალვების**" **22.00** თოქ-შოუ . სპორტი 360 **23.00** მხ/ფ "**სოლბი**" (ა.ჯოლი) **00.40** მხ/ფ "**უკანასკნელ გზაზე**" (ფ.კლუზე)

08.00, 14.00 დ/ფ "ბერლინი **1885** წელი" იერიში აფრიკაზე" **09.00** დ/ფ "ცხოველთა სილამაზე" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" **12.00** ტ/სერ. "**ეპას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩინგო ვებრინე**" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ვისკის საიდუმლო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" რუსულ ენებზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**ახალგაზრდა ამერიკელები**" (ჰ.კეიტელი)

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პაპარაძელი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ცოდნა ფულია **23.30** სერ. "**თეთრი დედოფალი**" **2** სერ. **01.30** მხ/ფ "**შურისძიების ქალა**" **03.45** მხ/ფ "**ჯენიფერ რეა**"

06.00, 19.00, 20.03 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი

08.00 ან/სერ. "პუკა" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი პაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **15.00** სერ. "**სასტუმრო**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **21.00** სერ. "**გომორა**" **22.30** მხ/ფ "**ხელშუხებელნი**" **00.45** მხ/ფ "**კელნის ალზრდა**" **03.00** მხ/ფ "**შმიდტის შესახება**"

06.10 სპექტაკლი "**მოძღვარი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **10.35** პატრიკი-ღვთიური სიმდაბლით მოსილი ეპიფანე **10.40** წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება **10.50** ყველაზე, ყველაზე..."დიდი საოცრებანი" **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მოკ. მხ/ფ "**ჭა**" **12.50** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ბეგონია" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** სიმღერის კვალდაკვალ-(ქართული ხმები)-"სამების გუნდი" **16.40** ქრისტიანული ხელოვნება-"ბაზილიკა და მისი განვითარება საქართველოში" **17.20** ჩვენი ფონდი **17.45** სიბრძნისმეტყველება **17.55** შვიდგზის ლოცვა **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** სამყაროს შექმნა **19.50** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა "ნადირთა ძმობა" **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი-"სიმონ კანანელის სახელობის ტაძარი" **00.30** საღვთისმეტყველო საუბრები **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო

7.00 "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება** **10.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**შარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.50** სერ. "**ესკობარი**" **1.00** "კონტაქტი" **1.30** სერ. "**ალბანეზი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 აპრილისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.4313
- ევრო — 2.5959
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0270
- 100 რუსული რუბლი — 4.3139

ამინდის პროგნოზი 4 აპრილისთვის

29 მარტიდან
საბავშვო ვეფხისტყაოსანი

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

31 მარტიდან
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

მაგარი ყდა
151 გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი

5 აპრილიდან
მარტორქები ბლინებს არ ჭამენ

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– ჩემს სიდედრს ახლახან 150 წელი შეუსრულდა.
– არ არსებობს, ადამიანები ამდენ ხანს არ ცოცხლობენ.
– მერე, ვინ ლაპარაკობს ადამიანზე?!

•••

თვითმფრინავის მგზავრმა საკუთარი ბარგი ვერ მიიღო და აეროპორტის დაკარგული ბარგის განყოფილებას მიმართა. სამსახურის თანამშრომელმა მომხიბვლელმა გოგონამ გაუღიმა და ეკითხება:
– თქვენი თვითმფრინავი უკვე ჩამოფრინდა?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– მამაჩემი ისეთი ჩამორჩენილია.
– რატომ ფიქრობ ასე?
– ამასწინათ ვუთხარი: „მამა, მანქანის საყიდლად ფული მომეცი“, მან კი მიპასუხა: „მე რა, როკფელერი ვარ?“
– კი მაგრამ, რა შუაშია „ჩამორჩენილი“?
– რა და უნდა ეპასუხა: „მე რა, ბილ გეიტსი ვარ?“

•••

კაცი ხელოსანს ეკითხება:
– რომელი რიცხვი ჩავწერო საბოლოოდ?
– 31.
– 31? მოასწრებთ?
– მოვასწრებ, მთავარია, თვე არ მიუთითოთ.

•••

შვილი დედას ეუბნება:
– დედა, მამამ თავი ჩამოიხრჩო.
– სად?
– სამზარეულოში.
დედა სამზარეულოში რომ ვერ ნახავს, ეუბნება:
– რატომ მომატყუე?
– დღეს 1 აპრილია, „ზალაში“ კიდია.

•••

აფთიაქარს რაიონიდან ჩამოსული ეუბნება:
– ბაღანიზა ვიტამინები მინდა.
– რომელი, ბატონო?
– მრგვალი როა.
– გასაგებია, მაგრამ რომელი ა, ბე თუ ცე?
– მაი სულ ერთია, პატარაა, კითხვა არ იცის ჯერ.

•••

ბიჭმა და გოგომ რესტორანთან ჩაიარეს. პირზე ნერწყვმომდგარი გოგო ეუბნება:
– აუუ, რა მაგარი სუნიაა...
– წამო კიდევ ჩავუაროთ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

21 მარტიდან
რეი ბრედბერი
მარსის ქრონიკა

მაგარი ყდა, 528 გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 19 ლარი

ნეიმარმა ბარსელონას შემადგენლობაში მე-100 გოლი გაიტანა

ბარსელონას ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ნეიმარმა კატალონიური გუნდის შემადგენლობაში მე-100 გოლი გაიტანა.

ნეიმარისთვის ეს სასიხარულო ფაქტი გრანადასთან მატჩში მოხდა, რომელიც ბარსელონამ 4:1 მოიგო.

ნეიმარმა მატჩის შემდეგ ყველა თანაგუნდელს მადლობა გადაუხადა და თქვა, რომ მათ გარეშე ის წარმატებას ვერ მიაღწევდა.

ბარსელონას მწვრთნელმა ლუის ენრიკემ ნეიმარი შეაქო და მას ნამდვილი მხეცი უწოდა. ენრიკემ ნეიმარს კიდევ 900 გოლის გატანა უსურვა და თქვა, რომ მისი სახით ბარსელონას ნამდვილი ბრილიანტი ჰყავს.

ნეიმარი ბარსელონაში 2013 წლის ზაფხულში გადმოვიდა და მას შემდეგ 177 შეხვედრაში უკვე 100 გოლის გატანა შეძლო.

იულიან დრაქსლერმა ბარსელონასთან მარცხზე ისაუბრა

პსჟ-ს გერმანელმა ნახევარმცველმა იულიან დრაქსლერმა მისი გუნდისთვის ძალიან მძიმე მატჩი გაიხსენა, სადაც პსჟ-მ ბარსელონასთან სტუმრად 1:6 წააგო.

დრაქსლერის თქმით, იმ შეხვედრაში მატჩის მთავარმა არბიტრმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა, თუმცა ეს მის გუნდს არ ამართლებს.

– ძალიან რთულია იმ შეხვედრაზე საუბარი. პირველი მატჩი 4:0 მოვიგეთ და ყველაფერი ლოგიკურ დასასრულამდე უნდა მიგვეყვანა, მაგრამ ამის გაკეთება ვერ შევძელით, რაც ძალიან სამწუხაროა. მსაჯმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა, მაგრამ ეს ჩვენ არ გვამართლებს, – განაცხადა დრაქსლერმა.

დრაქსლერმა თავის პარიზულ ცხოვრებაზე ისაუბრა და თქვა, რომ პსჟ-ში ის თავს კარგად გრძნობს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ვინჩენცო მონტელა მომავალ წელს შესაძლოა იუვენტუსში ვიხილოთ

მილანის მთავარი მწვრთნელი ვინჩენცო მონტელა შესაძლოა მომავალ სეზონში იუვენტუსში ვიხილოთ. ამის შესახებ ინფორმაცია იტალიურ პრესაში ვრცელდება.

იუვეს ამჟამინდელი თავკაცი მასიმილიანო ალეგრი, სავარაუდოდ, ზაფხულში გუნდს დატოვებს და რომელიმე სხვა ევროპულ გრანდში განაგრძობს სამწვრთნელო კარიერას.

რაც შეეხება მონტელას, ის ჯერჯერობით ნორმალურად მუშაობს მილანში და ამბობს, რომ ამ გუნდში ბედნიერია, თუმცა, სავარაუდოდ, ის იუვენტუსს უარს ვერ ეტყვის, რადგან ტურინელები უკვე დიდი ხანია იტალიაში პირველობას არავის უთმობენ.

მონტელას ჯერჯერობით ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ტრამპის კუთვნილი ფერარი 270 ათას დოლარად გაიყიდა

წითელი ფერის ავტომობილი ფერარი ფ430, რომელიც გაპრეზიდენტებამდე დონალდ ტრამპს ეკუთვნოდა, აუქციონზე 270 ათას დოლარად გაიყიდა.

– მსგავსი მოდელები მხოლოდ „ვარსკვლავური“ ისტორიის გარეშე, აუქციონებზე 125-175 ათას დოლარად იყიდება, მისი გარბენიდან, მდგომარეობიდან და დამატებითი მოწყობილობებიდან გამომდინარე, – განმარტა აუქციონის სპიკერმა ემი კრისტიმ, რომელმაც ტრამპის ფერარის მყიდველის ვინაობა არ გაამჟღავნა.

აღსანიშნავია, რომ ტრამპის მომხრეები რიგში ჩადგნენ, რათა გასაყიდად გამოტანილი, 10 წლის წინ აწყობილი ავტომობილი დაეთვალიერებინათ. მილიარდერი ამ ფერარით მხოლოდ ოთხი წელი სარგებლობდა და მასზე 3,8 ათასი კილომეტრის გავლა მოასწრო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. აეროპორტი პრაღაში; 2. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 3. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 4. უნივერსიტეტი მადრიდში; 6. ქართველი ფოტოხელოვანი, ალპინისტი; 8. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 11. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 12. მზის სისტემის პლანეტა; 16. ხშირი ტყიანი ზონა ევროპის, აზიისა და ამერიკის ჩრდილოეთში; 17. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 18. მუზეუმი მილანში.

თარაზულად: 1. მოხეტიალე მომღერალი მუსიკოსი ძველ საბერძნეთში; 5. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 7. ქართული კონიაკი; 9. შეუსაბამობა, უაზრობა; 10. მხარე გერმანიაში; 13. წყლის, ნავთობის საქაჩი პნევმატური მოწყობილობა ჭაბურღილზე; 14. ქართველი კომპოზიტორი; 15. მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 19. წყალზე მცურავი მრავალწლიანი ყვავილოვანი მცენარე; 20. დაქირავებული ტაშის დამკვრელი თეატრში; 21. ქართველი კინომსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 22. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა